



ბანათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების
ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნა
აპოლონ ქუთათელაძის სახელობის თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია

თბილისი
2024

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: სარა ბენეტი, კინგსტონის აკადემია, გაერთიანებული სამეფო

წევრები:

შოთა ფოთოლაშვილი - თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, საქართველო

თამარ ჩხეიძე - ასოცირებული პროფესორი, ვ. სარაჯიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია და გალობის აკადემიის დეკანი, საქართველო

გაგა გვენეტაძე - თბილისის ვებსტერის უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, საქართველო

ანა ჯაფარიძე - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის კერამიკის დარგის პროფესორი და პრაქტიკოსი, საქართველო

გიორგი გაბუნია - პროფესორი და პრაქტიკოსი არქიტექტურის დარგში, Arqipedia-ს დამფუძნებელი, საქართველო

ია ბუცხრიკიძე - სტუდენტი ექსპერტი, მაგისტრი, შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი, საქართველო

ავტორიზაციის დასკვნის რეზიუმე

აპოლონ ქუთათელაძის სახელობის თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის (თსსა) შეფასება მთლიანობაში დადებითი იყო. აღმოჩნდა, რომ თსსა შესაბამისობაშია პირველი სტანდარტის მოთხოვნებთან: უსდ-ის მისია და სტრატეგიული განვითარება. თსსა მეტწილად შესაბამისობაშია მეორე სტანდარტის მოთხოვნებთან: უსდ-ს ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა. თსსა მეტწილად შესაბამისობაშია მესამე სტანდარტის მოთხოვნებთან: საგანმანათლებლო პროგრამები. თსსა მეტწილად შესაბამისობაშია მეოთხე სტანდარტის მოთხოვნებთან: უსდ-ის პერსონალი. თსსა შესაბამისობაშია მეხუთე სტანდარტის მოთხოვნებთან: სტუდენტები და მათი მხარდაჭერის მომსახურებები. თსსა მეტწილად შესაბამისობაშია მეექვსე სტანდარტის მოთხოვნებთან: კვლევა, განვითარება და/ან სხვა

შემოქმედებითი საქმიანობა. თსსა მეტწილად შესაბამისობაშია მეშვიდე სტანდარტის მოთხოვნებთან: მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები.

ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

- აპოლონ ქუთათელაძის სახელობის თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია (თსსა) დაარსდა 1922 წელს, ქართული ხელოვნების პოპულარიზაციისა და თანამედროვე სამყაროსთან კავშირების დამყარების მიზნით უმაღლესი სამხატვრო განათლების აუცილებლობის გაცნობიერების შედეგად. მისი დაარსება შთაგონებული იყო ევროპის სახელოვნებო სკოლებით და ხელოვნებისა და თეორიული სწავლების ინტეგრაციით. მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა პერიოდმა გამოიწვია ჩვენი ქვეყნის იზოლირება, აკადემია ჩამოყალიბდა ცენტრად, რომელმაც წარმატებით შეინარჩუნა და გადასცა მაღალი მხატვრული ღირებულების მქონე ტრადიციები სტუდენტთა მრავალ თაობას, და დღესაც რჩება მნიშვნელოვან სახელოვნებო დაწესებულებად ამიერკავკასიის რეგიონში. აკადემიის კურსდამთავრებულთა მრავალი წარმომადგენელი მოღვაწეობს პედაგოგად და მკვლევრად როგორც თავად აკადემიაში, ასევე საქართველოს სხვა სახელოვნებო უნივერსიტეტებში. ამასთან, ისინი იკავებენ მნიშვნელოვან პოზიციებს კულტურული მემკვიდრეობის სექტორში. აკადემია არის ალმა მატერი მე-20 და 21-ე საუკუნეების მრავალი, თუ არა უმეტესი, აღიარებული ქართველი ხელოვანისთვის. მისი რეპუტაცია განმტკიცებულია კურსდამთავრებულთა და თანამშრომელთა მრავალრიცხოვანი საჯარო გამოფენებით, რომლებმაც შექმნეს ქართული სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება.
- 2004 წელს საქართველომ მიიღო სამსაფეხურიანი საგანმანათლებლო სისტემა ბოლონიის პროცესის (1999) შესაბამისად, რომლის მიზანიც იყო ევროპის მასშტაბით უმაღლესი განათლების კვალიფიკაციების სტანდარტებისა და ხარისხის შესაბამისობის უზრუნველყოფა. საქართველოში განხორციელებული მრავალი საგანმანათლებლო რეფორმის შედეგად დაიწყო ცვლილებების პერიოდი და აკადემიაში გამოიყო ბაკალავრიატის, მაგისტრატურისა და დოქტორანტურის საფეხურები. ამჟამად აკადემიას აქვს ხუთი ფაკულტეტი: სახვითი ხელოვნება, დიზაინი, მედია ხელოვნება, არქიტექტურა და რესტავრაცია, ხელოვნების ისტორია და თეორია. 2017 წელს დაარსდა ორი სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი: "კონსერვაციის ცენტრი", რომელიც ფუნქციონირებს რესტავრაციის, ხელოვნებათმცოდნეობისა და თეორიის ფაკულტეტის ბაზაზე; და "ვიზუალური კომუნიკაციისა და მედია ხელოვნების ინსტიტუტი", რომელიც მოქმედებს მედია ხელოვნების ფაკულტეტის ბაზაზე. ეს ცენტრები ახორციელებენ კვლევით პროექტებს შესაბამის ფაკულტეტებთან კოორდინაციით, რითაც ხელს უწყობენ აკადემიაში წარმოებული კვლევების პროფილის ამაღლებას, მაგალითად, შიდა სამეცნიერო გამოცემის "ACADEMIA"-ს მეშვეობით. ორ სამეცნიერო კვლევით ცენტრში მუშაობს 13 სამეცნიერო პერსონალი.
- გარდა ამისა, 2014 წელს დაარსდა უწყვეტი განათლების ცენტრი, რაც განპირობებული იყო აკადემიის ჩართულობით პროექტში "უნივერსიტეტების სპეციფიკური როლის გაძლიერება, როგორც უწყვეტი სწავლის დაწესებულებებისა" (SSRULLI). ცენტრის მიზანია გააფართოოს აკადემიის მიერ შეთავაზებული მოკლევადიანი კურსების სპექტრი,

რომლებიც ხელმისაწვდომია საზოგადოებისთვის, ასევე უზრუნველყოს პროფესიული განვითარების შესაძლებლობები ხელოვნებისა და განათლების სფეროს პროფესიონალებისთვის, როგორც შიდა, ისე გარე დაინტერესებული პირებისთვის. უწყვეტი განათლების ცენტრის პროგრამებში მონაწილეები არ ითვლებიან აკადემიის ოფიციალურ სტუდენტურ კონტინგენტში.

- 2023 წელს ღია კონკურსის შედეგად აკადემიის ახალ რექტორად დაინიშნა ბ-ნი ყარამან ქუთათელაძე. მისი ხედვა სამხატვრო აკადემიის განვითარებისთვის უზრუნველყოფს აკადემიაში უმაღლესი სახელოვნებო განათლების არსებული რეფორმების უწყვეტობას, აკადემიის მართვის სტრუქტურაში ცვლილებების შეტანასთან ერთად. ეს რეფორმები და ცვლილებები მოცემულია ქვემოთ მოცემულ დასკვნაში.
- თსსა-ს აქვს ლამაზად მორთული დარბაზები, რომლებიც მდებარეობს აკადემიის ისტორიულ შენობაში გრიბოედოვის ქუჩაზე. მე-19 საუკუნის დეკორატიული სტრუქტურები ახლახან აღადგინეს რესტავრაციის, ხელოვნებათმცოდნეობისა და თეორიის ფაკულტეტის პროფესორებმა და სტუდენტებმა. ეს დარბაზები გამოიყენება კონფერენციებისა და განსაკუთრებული ღონისძიებებისთვის, ასევე სასწავლო ჯგუფებისთვის, და წარმოადგენს თსსა-სთვის ისტორიულად მნიშვნელოვან და უნიკალურ არქიტექტურულ რესურსს, რომელშიც განთავსებულია აკადემიის მუზეუმი და ღია საზოგადოებისთვის დასათვალიერებლად.
- აკადემიაში დასაქმებულია 112 აკადემიური პერსონალი, მათ შორის 112 აფილირებული თანამშრომელი და 241 მოწვეული პედაგოგი, მათ შორის მოწვეული პროფესორები, მასწავლებლები და ლექტორები. ორ სამეცნიერო კვლევით ცენტრში მუშაობს 13 სამეცნიერო პერსონალი და სულ 184 ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი. თსსა გათავაზობთ 50 აკრედიტებულ უმაღლესი განათლების პროგრამას, მათ შორის 30 საბაკალავრო, 24 სამაგისტრო, 5 სადოქტორო და 1 საგანმანათლებლო მოსამზადებელი პროგრამა ქართულ ენაში (დანართი 1ა).
- ავტორიზაციის ვიზიტის დროს თსსა-ს ჰყავდა: ბაკალავრიატის 1598 აქტიური სტუდენტი და 739 შეჩერებული სტატუსის მქონე; მაგისტრატურის 293 აქტიური სტუდენტი და 275 შეჩერებული სტატუსის მქონე; დოქტორანტურის 29 აქტიური სტუდენტი და 2 შეჩერებული სტატუსის მქონე; 7 აქტიური საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტი და არცერთი შეჩერებული სტატუსის მქონე; 7 საერთაშორისო სტუდენტი, რომელთაგან 2-ს აქვს შეჩერებული სტატუსი; და 5 სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტი, რომელთაგან ერთს აქვს შეჩერებული სტატუსი (დანართი 2). თსსა-ს მიერ მოთხოვნილი სტუდენტთა კვოტა არის 2720.

საავტორიზაციო შეფასების პროცესის მოკლე მიმოხილვა: თვითშეფასების ანგარიში და ვიზიტი

ექსპერტთა ჯგუფმა 2024 წლის 6 ივნისს მიიღო წვდომა აპოლონ ქუთათელაძის სახელობის თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის (თსსა) ინსტიტუციური ავტორიზაციის

პროცესისთვის განკუთვნილ თვითშეფასების ანგარიშზე (თშა), ასევე საჭირო მარეგულირებელ დოკუმენტებსა და შესაბამის დანართებზე (ჩამოთვლილია III ნაწილში). ეს დოკუმენტები წარმოდგენილი იყო ქართულ ენაზე. თარგმანები ინგლისურ ენაზე (როგორც განსაზღვრულია III ნაწილში) ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ მიიღო 2024 წლის 20 ივნისს.

თსსა-ს ავტორიზაციის თვითშეფასების ანგარიშის (თშა) შედგენის პროცესი ნათლად იყო ახსნილი: თითოეულმა ფაკულტეტმა მოამზადა თვითშეფასების ანგარიში, რომელიც აჯამებდა მათ მიღწევებსა და საჭიროებებს; შემდეგ ეს ანგარიშები გადაიხედა და გახდა საფუძველი თსსა-ს ავტორიზაციის თშა-სთვის, რომელიც "ზუსტად ასახავდა" დაწესებულების საქმიანობის ისეთ ძირითად სფეროებს, როგორიცაა: "ინსტიტუციური სტრუქტურა, მართვა, ადმინისტრაციული სერვისები, საგანმანათლებლო პროცესები, სამეცნიერო ან შემოქმედებითი განვითარების შეფასებები და სხვა ფაქტობრივი მონაცემები". მნიშვნელოვანია, რომ 2023 წელს თსსა-ში შვიდი კლასტერის აკრედიტაციის პროცესი იძლევა ინფორმაციას ავტორიზაციისთვის მომზადების შესახებ. კერძოდ, პროგრამულ დონეზე უკვე ბევრი სამუშაო იყო შესრულებული პერსონალის უმრავლესობის ჩართულობით, და ასევე გააქტიურებული იქნა კრიტიკული რეფლექსიის პოზიცია მთელ დაწესებულებაში, რაც შეჯამდა თსსა-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ მოთხოვნილ მოკლე კლასტერული აკრედიტაციის ანგარიშებში. აკადემიამ წარმოადგინა ძირითადი პერსონალისა და ადმინისტრაციული სერვისების სია, რომლებიც მუშაობდნენ თითოეული სტანდარტის შემუშავებაზე. ექსპერტთა ჯგუფმა დაადგინა, რომ მოწოდებულ მარეგულირებელ დოკუმენტებთან და დანართებთან ერთად, ავტორიზაციის თშა იყო კარგად დაწერილი, თანმიმდევრული და ძალიან ინფორმატიული.

მომზადების პერიოდში ექსპერტთა ჯგუფი ორჯერ შეხვდა ონლაინ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (NCEQE) წარმომადგენლებს, რათა გაენაწილებინათ პასუხისმგებლობები უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტებზე, გაეზიარებინათ პირველადი დაკვირვებები მიღებული დოკუმენტაციიდან და განეხილათ ვიზიტისთვის მოსამზადებელი კითხვების პროექტი. აკადემიისგან მოითხოვეს ზოგიერთი დამატებითი დოკუმენტი რომლებიც მოწოდებული იქნა.

ადგილზე ვიზიტი ჩატარდა 2024 წლის 2-5 ივლისს, აპოლონ ქუთათელაძის სახელობის თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიაში (თსსა), ქ. თბილისი ალ. გრიბოედოვის ქ. 22, 0108. ოთხდღიანი ვიზიტის განმავლობაში, ექსპერტთა ჯგუფმა შეხვედრები გამართა შემდეგ პირებთან: უმაღლესი მენეჯმენტთან, მათ შორის ადმინისტრაციის კანცლერთან, რექტორთან და ორ პრორექტორთან (შეხვედრა 1.1); წარმომადგენლობითი და აკადემიური საბჭოების წევრებთან (შეხვედრა 1.2); კანცელარიის უფროსთან, ფინანსური დეპარტამენტის უფროსთან და მთავარ ბუღალტერთან, საგანმანათლებლო პროცესის მართვის დეპარტამენტის უფროსთან და კოორდინატორთან, უწყვეტი განათლების ცენტრის დირექტორთან, ბიბლიოთეკის დირექტორთან და ბიბლიოთეკის სპეციალისტთან (შეხვედრა 1.3); ადამიანური რესურსების უფროსთან, იურიდიული დეპარტამენტის უფროსთან, საერთაშორისო ურთიერთობების უფროსთან და არქიტექტურისა და მედია ხელოვნების საერთაშორისო ურთიერთობების კოორდინატორთან, სამეცნიერო და შემოქმედებითი კვლევების დეპარტამენტის უფროსთან (შეხვედრა 1.5); ხუთი ფაკულტეტის დეკანებთან - სახვითი ხელოვნების, არქიტექტურის, დიზაინის, მედია ხელოვნების და რესტავრაციის,

ხელოვნებათმცოდნეობისა და თეორიის (შეხვედრა 1.6); თვითშეფასების გუნდთან (შეხვედრა 1.7); სტუდენტური თვითმმართველობის წევრებთან (შეხვედრა 2.1); ბაკალავრიატის სტუდენტებთან (შეხვედრა 2.4); მაგისტრატურისა და დოქტორანტურის სტუდენტებთან (შეხვედრა 2.5); IT, PR, მონაცემთა დაცვისა და ტექნიკური მხარდაჭერის სამსახურების წარმომადგენლებთან (შეხვედრა 2.6); საბაკალავრო პროგრამების ხელმძღვანელებთან (შეხვედრა 3.1); სამაგისტრო პროგრამების ხელმძღვანელებთან (შეხვედრა 3.2); საბაკალავრო პროგრამების პერსონალთან (აკადემიური და მოწვეული) (შეხვედრა 3.3); სამაგისტრო პროგრამების პერსონალთან (აკადემიური და მოწვეული) (შეხვედრა 3.4); სტუდენტებთან (მაგისტრატურა და დოქტორანტურა); კურსდამთავრებულებთან (შეხვედრა 3.6); დამსაქმებლებთან (შეხვედრა 3.7); ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსთან და ფაკულტეტების ხარისხის სამსახურის კოორდინატორებთან (შეხვედრა 4.2). 5 ივლისს მოეწყო დამატებითი შეხვედრა დოქტორანტებთან და სტუდენტური თვითმმართველობის ხელმძღვანელთან (შეხვედრა 4.1).

ადგილზე ვიზიტის მეორე დღის განმავლობაში ექსპერტთა ჯგუფმა დაათვალიერა აკადემიის ობიექტები, მათ შორის ორი შენობა მთავარ მისამართზე ალ. გრიბოედოვის ქ. 22 და თბილისის მასშტაბით სხვადასხვა ადგილზე მდებარე შენობები: შარდენის ქ. 19, დ. აღმაშენებლის ქ. 164, ლიუბლიანას ქ. 7 ვ. გაბაშვილის ქ. 10, ფ. და ლაპიაშვილის ქ. 1. ამ ობიექტებზე ექსპერტთა ჯგუფმა მოინახულა: დროებითი ბიბლიოთეკა, ონლაინ რესურსების ჩათვლით; ხელოვნების, დიზაინისა და არქიტექტურის პროგრამების სპეციალიზებული სტუდიები; ღია წვდომის სახელოსნოები, რომლებიც მოიცავს აკადემიაში შეთავაზებულ ტექნიკურ პროცესებს; კომპიუტერული ოთახები; სასწავლო აუდიტორიები; დოქტორანტებისთვის განკუთვნილი სპეციალური სასწავლო სივრცე. ალ. გრიბოედოვის ქუჩაზე ექსპერტთა ჯგუფმა იხილა თსსა-ს მუზეუმის 6,000 არტეფაქტისგან შემდგარი არქივის მცირე ნაწილი, ასევე მე-19 საუკუნეში სპარსი ოსტატების მიერ მოხატული დარბაზების სერია, რომლებიც ახლახან აღადგინეს რესტავრაციის, ხელოვნებათმცოდნეობისა და თეორიის ფაკულტეტის სტუდენტებმა. შარდენის ქუჩაზე მდებარე ტექსტილის მუზეუმიც ასევე ღიაა საზოგადოებისთვის.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტანდარტებთან შესაბამისობის მიმოხილვა

რეკომენდაციები

- 1.2 რეკომენდებულია, რომ აკადემიამ მოკლევადიან სტრატეგიული განვითარების გეგმას დაამატოს შესრულების ძირითადი ინდიკატორები (KPI) კონკრეტული და მართვადი ვადებით. ამის შემდეგ ისინი უნდა აისახოს გრძელვადიანი სტრატეგიული განვითარების გეგმაში, სადაც უნდა დაემატოს უფრო მაღალი დონის KPI.
- 2.1 რეკომენდებულია გაიზარდოს ღია კონკურსების სიხშირე და მასშტაბი ყველა ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის პოზიციისთვის, დეპარტამენტების ხელმძღვანელების ჩათვლით. ეს უზრუნველყოფს კვალიფიციური კანდიდატების უფრო ფართო არჩევანს და ხელს შეუწყობს დასაქმების პრაქტიკაში გამჭვირვალობის ამაღლებას.
- 2.1 რეკომენდებულია, თსსა-მ გააძლიეროს და თანაბრად გაანაწილოს ინტერნაციონალიზაციის ძალისხმევა ყველა დეპარტამენტში, რათა მაქსიმალურად გაზარდოს გავლენა და ხელი შეუწყოს ყოვლისმომცველ გლობალურ ჩართულობას.

- 2.2 რეკომენდებულია, რომ კვლევის შედეგების ანალიზი და რეკომენდაციების ფორმულირება განხორციელდეს პროგრამის ხელმძღვანელების, დეკანის მოადგილეების და პროგრამის მართვაში ჩართული სხვა ადმინისტრაციული პერსონალისგან დამოუკიდებლად. ამის მიღწევა შესაძლებელია მკაფიო პროტოკოლების დადგენით, რომლებიც გამოიწვევს ხარისხის უზრუნველყოფის პროცესში მონაწილე პირთა როლებს პროგრამის ხელმძღვანელობაში ჩართული პირების როლებისგან.
- 2.2 რეკომენდებულია, რომ თსსა-მ სტუდენტთა უკუკავშირის სანდოობისა და ვალიდურობის გასაუმჯობესებლად გაამრავალფეროვნოს თავისი მეთოდები ნაცვლად იმისა, რომ მხოლოდ სავალდებულო გამოკითხვებს დაეყრდნოს.
- 2.2 რეკომენდებულია მოგვარდეს პოტენციური ინტერესთა კონფლიქტები, რომლებიც წარმოიქმნება ორმაგი როლებიდან, სადაც ხარისხის უზრუნველყოფის გუნდების წევრები ასევე იკავებენ პროგრამის ხელმძღვანელების პოზიციებს.
- 2.2 რეკომენდებულია ხარისხის უზრუნველყოფის გუნდის გაძლიერება ახალი წევრების დამატებით, რომლებიც არ არიან ჩართულნი პროგრამის მართვაში, რაც უზრუნველყოფს, რომ მათი როლები და პასუხისმგებლობები არ გადაიკვეთება.
- 2.3 რეკომენდებულია, რომ თსსა-მ რეგულარულად ჩაატაროს სემინარები და ტრენინგები როგორც სტუდენტებისთვის, ასევე აკადემიური პერსონალისთვის, ციტირების სათანადო მეთოდებსა და აკადემიური რეფერირების სტანდარტებში მათი ცოდნის ამაღლების მიზნით.
- 2.3 რეკომენდებულია მკაფიო და თანმიმდევრული სახელმძღვანელო პრინციპების და პლაგიატის პოლიტიკის შესახებ ინფორმაციის მიწოდება, რაც უზრუნველყოფს გამჭვირვალობასა და გაგებას აკადემიურ საზოგადოებაში.
- 3.2 რეკომენდებულია ყველა შესაბამისი დოკუმენტაცია, მათ შორის სამაგისტრო კვლევითი კომპონენტის მკაფიო აღწერა და წერილობითი ნაშრომის სტრუქტურა, ადვილად ხელმისაწვდომი იყოს და ეფექტურად მიეწოდებოდეს სტუდენტებსა და პერსონალს.
- 3.2 რეკომენდებულია სამაგისტრო პროგრამებზე მისაღები ენის მკაფიო და თანმიმდევრული წინაპირობების დადგენა, როგორც საჭირო ენის, ასევე მისი ცოდნის მოსალოდნელი დონის მითითებით.
- 3.3 რეკომენდებულია განხორციელდეს პროგრამების შეფასების კრიტერიუმების საფუძვლიანი შემოწმება როგორც ცალკეულ ფაკულტეტზე, ასევე ხუთივე ფაკულტეტზე, შეფასების ცხრილის საერთო დასახელების სისტემის გათვალისწინებით, როგორც ინგლისურ, ასევე ქართულ ენაზე. ასევე, უზრუნველყოთ მათი შესაბამისობა საქართველოს სამართლებრივ აქტებთან. გარდა ამისა, საჭიროების შემთხვევაში, სავალდებულო უნდა გახდეს პერსონალის ტრენინგი შეფასების კრიტერიუმების წერასა და შეფასებაში.
- 4.1 აკადემიური და კვლევითი პერსონალის საშუალო ასაკის გათვალისწინებით, რეკომენდირებულია აკადემიამ შეიმუშავოს ეფექტური სისტემა საგანმანათლებლო და კვლევით პროცესებში ახალგაზრდა კადრების მოზიდვის, ჩართვისა და შენარჩუნებისათვის; სხვა აუცილებელი აქტივობების გარდა, აკადემიისთვის მნიშვნელოვანია შექმნას პოსტდოქტორანტების და ასისტენტების დაქირავებისა და სასწავლო და კვლევით საქმიანობაში მათი ინტეგრაციის მხარდაჭერის ეფექტიანი მექანიზმები.
- 5.1 რეკომენდებულია აკადემიამ სტუდენტის გზამკვლევაში შეიტანოს ინფორმაცია სტუდენტთა უფლებების შესახებ, რათა უზრუნველყოს სტუდენტების გაცნობიერება ამ

საკითხებში, და მოძებნოს კომუნიკაციის უკეთესი მეთოდები, რაც შეავსებს პერსონალსა და სტუდენტებს შორის არსებულ უფრო არაფორმალურ ურთიერთობებს.

- 5.1 რეკომენდებულია ეთიკის კოდექსში საჩივრების განხილვის პროცედურის ჩართვა.
- 6.1 რეკომენდებულია სამეცნიერო-კვლევითი და განვითარების სამსახურის სტრატეგიული განვითარების მიზნები შეესაბამებოდეს აკადემიისა და სამეცნიერო ცენტრების განვითარების სტრატეგიულ გეგმებს და ხედვას; თსსა-მ იზრუნოს სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულების სტრატეგიული განვითარების გეგმების კორელაციაზე და გადაამუშაოს გეგმა (დაამატოს გაზომვადი ინდიკატორები) დაწესებულების სამეცნიერო და სახელოვნებო/შემოქმედებითი საქმიანობის განვითარების მონიტორინგის პროცესის წარმართვის მიზნით.
- 6.2 რეკომენდებულია აკადემიამ გააძლიეროს საერთაშორისო თანამშრომლობა და ჩართულობა თანამედროვე კვლევებში; რეკომენდებულია ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკის გაძლიერება და საერთაშორისო პარტნიორებთან ერთობლივი კვლევითი და შემოქმედებითი პროექტების/აქტივობების განხორციელება, ასევე საერთაშორისო კვლევით/სახელოვნებო ცენტრებთან ინსტიტუციური თანამშრომლობის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა.
- 6.3 რეკომენდებულია აკადემიამ შექმნას სამეცნიერო/შემოქმედებითი საქმიანობის ეფექტურობის ანალიზისა და გაზომვის სისტემა, რათა შეფასების შედეგები გამოიყენოს კვლევითი/შემოქმედებითი საქმიანობის შემდგომი განვითარებისთვის.
- 7.1 რეკომენდებულია აკადემიამ შექმნას ინკლუზიური და ხელმისაწვდომი გარემო ყველა კამპუსში და შეიმუშაოს კონკრეტული, რეალისტური გეგმა ამ მიზნის მისაღწევად.
- 7.1 რეკომენდებულია საგანმანათლებლო ინფრასტრუქტურის განახლება, განსაკუთრებით იმ კამპუსებში, სადაც ინფრასტრუქტურა მნიშვნელოვნად მოძველებულია და არ შეესაბამება სტანდარტებს (მაგალითად, კამპუსები ლაპიაშვილისა და ლუბლიანას ქუჩებზე).
- 7.1 რეკომენდებულია აკადემიამ განახორციელოს შენობების სტრუქტურული მთლიანობისა და სახანძრო უსაფრთხოების შემოწმებები (კვალიფიციური სუბიექტების მიერ) და შემდგომ შეიმუშაოს აუცილებელი მაკორექტირებელი ღონისძიებების გეგმა.
- 7.1 რეკომენდებულია შემუშავდეს სასწავლო მასალების შენახვისა და გამოყენების სახელმძღვანელო პრინციპები და განთავსდეს ყველასთვის ხელმისაწვდომ ადგილებში.
- 7.1 რეკომენდებულია აკადემიამ ყველა კამპუსში დაამონტაჟოს სათვალთვალო კამერების ადეკვატური რაოდენობა.
- 7.1 რეკომენდებულია ყველა კამპუსი აღიჭურვოს სამედიცინო პუნქტებით ან ასეთი საშუალებები უზრუნველყოფილ იქნას კამპუსებს შორის საერთო სივრცეებში.
- 7.2 რეკომენდებულია აკადემიის ბიბლიოთეკა განთავსდეს შესაბამის ტერიტორიაზე მისი ეფექტური გამოყენების უზრუნველსაყოფად აღჭურვილ იქნას საჭირო მატერიალურ-ტექნიკური რესურსებით.
- 7.2 რეკომენდებულია ბიბლიოთეკები განთავსდეს ცალკეულ კამპუსებში კომპიუტერული სივრცეების ჩათვლით, და/ან საერთო სივრცის შენობებში.
- 7.3 რეკომენდებულია აკადემიის ვებგვერდის ქართული და ინგლისური ვერსიები სრულად შეესაბამებოდეს ერთმანეთს.
- 7.3 რეკომენდებულია ყველა ანგარიში და სტატისტიკური მონაცემები დროულად გამოქვეყნდეს და განახლდეს შესაბამის ვადებში.
- 7.4 გამჭვირვალობის გაძლიერების მიზნით და კომპეტენციების განაწილების პრინციპის დასაცავად, რეკომენდებულია ბიუჯეტში მკაფიოდ იყოს მითითებული სხვადასხვა საქმიანობისთვის გამოყოფილი ხარჯების ოდენობები. ამასთან, მასში დეტალურად იყოს

გაწერილი სტუდენტთა მხარდაჭერის აქტივობებისთვის, სამეცნიერო განვითარების ხელშეწყობისთვის და საბიბლიოთეკო რესურსების გაუმჯობესებისთვის გამოყოფილი თანხები.

- 7.4 რეკომენდებულია აკადემიის სტრატეგიული გეგმების მისაღწევად საჭირო ხარჯვითი მოთხოვნების დადგენა, და არა მხოლოდ დაფინანსების წყაროების იდენტიფიცირება. ამასთან, უზრუნველყავით, რომ ეს ხარჯები დაკავშირებული იყოს ბიუჯეტში გაზომვად ინდიკატორებთან მათი ეფექტურობის .

რჩევები

- 1.2 სასურველია, რომ გრძელვადიან სტრატეგიული განვითარების გეგმაში მეტი აქცენტი გაკეთდეს მდგრადობაზე.
- 1.2 სასურველია, რომ აკადემიის ხელმძღვანელობამ კონსულტაცია გაიაროს სტუდენტთა წარმომადგენლებთან იმის განსახილველად, თუ როგორ შეიძლება უკეთ გავრცელდეს თსსა- ის სტრატეგია სტუდენტთა შორის.
- 1.2 სასურველია, რომ პერსონალმა მიიღოს უწყვეტი პროფესიული განვითარება პროექტების, ასევე სამხატვრო და სამეცნიერო კვლევების ზეგავლენის შეფასების მეთოდებში, მათი უნარების გასაუმჯობესებლად.
- 3.2 სასურველია კურსის დოკუმენტებისა და სილაბუსების ინგლისურ ენაზე თარგმნისას თავიდან იქნას აცილებული პირადი ნაცვალსახელების გამოყენება.
- 3.2 სასურველია აკადემიამ განიხილოს თითოეული პროგრამისათვის ძირითადი ლიტერატურის მოთხოვნები, სანდო ინგლისურენოვანი რესურსების ხელმისაწვდომობის გათვალისწინებით.
- 4.1 სასურველია შეიქმნას და დაინერგოს თანამშრომელთა ადაპტაციის ეფექტური სისტემები, რათა უზრუნველყოფილ იქნას ახალი პერსონალის შეუფერხებელი ინტეგრაციის პროცესი;
- 4.1 სასურველია, ჩამოყალიბდეს მკაფიო ხედვა აკადემიაში აკადემიური, მოწვეული და ადმინისტრაციული/დამხმარე პერსონალის თანაფარდობის შესახებ და ამ ხედვის ინტეგრირება სამომავლო დაგეგმვის აქტივობებში;
- 4.1 სასურველია, პერსონალის დაგეგმვისთვის განისაზღვროს გაზომვადი, ობიექტური, დასაბუთებული და მიღწევადი სამიზნე ინდიკატორები, ყველა საჭირო პერსპექტივის გათვალისწინებით;
- 4.1 სასურველია, თანამშრომელთა სამუშაო პროცესების დიგიტალიზაციის გაზრდა და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის გაუმჯობესება არაეფექტური სამუშაო დატვირთვის შესამცირებლად;
- 4.1 სასურველია, არაფინანსური წახალისებისა და დაწინაურების მექანიზმების შემოღება და წახალისებისა და პროფესიული განვითარებისთვის საბიუჯეტო მხარდაჭერის გაძლიერება;
- 4.1 სასურველია, პერსონალის ინტერნაციონალიზაციის ხელშემწყობი მექანიზმების გაფართოება და გაღრმავება გლობალური ჩართულობისა და თანამშრომლობის გასაძლიერებლად.
- 4.2 სასურველია, სამეცნიერო პერსონალის დატვირთვის ბადის დახვეწა და კვლევით საქმიანობასთან დაკავშირებული გაზომვადი ინდიკატორების დანერგვა.
- 4.2 სასურველია ზეგანაკვეთური სამუშაოს პრევენციის მექანიზმების შემუშავება: ზეგანაკვეთური სამუშაოს თავიდან ასაცილებლად რეკომენდებულია განხორციელდეს ღონისძიებები, მათ შორის პროცესების გაციფრულება, საჭირო ტექნიკური რესურსების

ინტეგრირება და სამუშაო დატვირთვის ადეკვატური განაწილების უზრუნველყოფა; დაწესდეს ზეგანაკვეთური სამუშაოს აღრიცხვის ეფექტური მექანიზმები, გადაიჭრას ზეგანაკვეთთან დაკავშირებული სისტემური საკითხები და დარეგულირდეს ზეგანაკვეთური სამუშაოს დასაშვები ინდივიდუალური შემთხვევების პირობები და წესები.

- 5.2 მიზანშეწონილად მივიჩნევთ, რომ უფრო მეტი ინფორმაციული შეხვედრები უკეთ გააცნობდა სტუდენტებს მათი მხარდაჭერის სერვისების სპექტრს.
- 7.1 სასურველია აკადემიამ მოაწყოს სტუდენტური საერთო საცხოვრებლები.
- 7.1 სასურველია აკადემიამ ჩარიცხვის პროცესისას ჩაატაროს კონკრეტული და მიზნობრივი შეხვედრები, რათა აცნობოს სტუდენტებს საჭირო მასალების შეძენის მოთხოვნის შესახებ.
- 7.2 აკადემიამ სასურველია გააგრძელოს საბიბლიოთეკო მომსახურების დაფინანსების გაზრდა.
- 7.2 სასურველია, ბიბლიოთეკამ ჩაატაროს მეტი საინფორმაციო შეხვედრა პერსონალთან და სტუდენტებთან.
- 7.2 სასურველია, აკადემიამ წახალისოს სამეცნიერო ბაზებისა და ელექტრონული კატალოგების უფრო ფართო გამოყენება სამეცნიერო და საგანმანათლებლო საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად.
- 7.3 სასურველია, აკადემიამ გააუმჯობესოს საინფორმაციო პოლიტიკა და სახელმძღვანელო პრინციპები ელექტრონული სერვისების მომხმარებლებისთვის.
- 7.3 სასურველია, აკადემიამ შეიმუშაოს აუცილებელი გეგმა, რომელიც უზრუნველყოფს პერსონალისა და სტუდენტებისთვის სტაბილურ ინტერნეტწვდომას ყველა კამპუსში.
- 7.4 სასურველია, ბიუჯეტთან დაკავშირებული ინფორმაციის გამჭვირვალობის გაზრდა იმის უზრუნველყოფით, რომ იგი ხელმისაწვდომი იყოს ყველა დაინტერესებული მხარისთვის მისაწვდომ პლატფორმებზე.

საუკეთესო პრაქტიკის შეჯამება

- 1.2 უწყვეტი განათლების ცენტრის მუშაობა წარმოადგენს საუკეთესო პრაქტიკას თავისი ინკლუზიური საგანმანათლებლო პროგრამით, მოსამზადებელი კურსებითა და პერსონალის უწყვეტი განვითარების უზრუნველყოფით.
- 2.3 მრგვალი მაგიდის დისკუსია, რომელიც მიემდგვნა ხელოვნური ინტელექტის გავლენას კვლევის კეთილსინდისიერებასა და ეთიკაზე, თანმდევი პოტენციური გამოწვევების შესწავლას.
- 5.2 აკადემიაში არსებული თემის სულისკვეთება.
- 5.2 უფასო დოქტორანტურა და კვლევა.

- ინფორმაცია უსდ-ს არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების, ან არ გაზიარების თაობაზე

თსსა არგუმენტირებული პოზიცია ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნის პროექტის თაობაზე

2024 წლის ივლისში თსსა შედგა ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტი. ექსპერტებმა ჩაატარეს დიდი მოცულობის სამუშაო, დაწვრილებით შეისწავლეს საავტორიზაციო განაცხადი, შეხვდნენ ადმინისტრაციული და პედაგოგიური პერსონალის წარმომადგენლებს, ყველა დაინტერესებულ მხარეს და ბევრ აქტუალურ საკითხთან დაკავშირებით შედგა საუბარი.

დასკვნის პროექტის გაცნობის შემდეგ გვსურს უდრმესი მადლობა გადავუხადოთ ექსპერტებს. მოხარული ვართ, რომ მთელ რიგ საკითხებზე ჩვენი მოსაზრებები ემთხვევა ექსპერტების მოსაზრებებსა და რეკომენდაციებს. წინამდებარე არგუმენტირებულ პოზიციაში გვსურს ავსახოთ ჩვენი პასუხი ან თვალთახედვა იმ რამდენიმე რეკომენდაციასთან დაკავშირებით, რომლის ფაქტობრივად დადასტურება, სამწუხაროდ, ვიზიტის მსვლელობისას ვერ მოხერხდა ან ვიზიტის დასრულების შემდეგ განხორციელდა და შეგვიძლია წარმოვადგინოთ დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

რეკომენდაცია 2.1

“რეკომენდებულია, თსსა-მ გააძლიეროს და თანაბრად გაანაწილოს ინტერნაციონალიზაციის ძალისხმევა დეპარტამენტებს შორის, რათა მაქსიმალურად გაზარდოს გავლენა და ხელი შეუწყოს ყოვლისმომცველ ჩართულობას გლობალური მასშტაბით”.

თსსა პოზიცია: თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის ფაკულტეტების საერთაშორისო პროექტებში ჩართულობის თანაბარი გადანაწილების ბუნებრივი და ლოგიკური სურვილის მიუხედავად, პარტნიორობის შეთავაზება ევროპული თუ რეგიონალური უნივერსიტეტების პრეროგატივაა და, როგორც წესი, ისინი გაცილებით უფრო აქტიურად გვთავაზობენ გაცვლით პროგრამებში სახვითი ხელოვნების პროგრამების სტუდენტების და პედაგოგების ჩართვას. აღნიშნული დარგების მიმართ უცხოელი პარტნიორი უნივერსიტეტების ინტერესი ეფუძნება თსსა აკადემიური პერსონალის/სტუდენტების შემოქმედებითი პოტენციალის გაზიარებას, ფერწერა/გრაფიკის დარგებში ტრადიციული ცოდნის თანამედროვე ხელოვნებაში და დიზაინში ასახვის გზების გაზიარებას, თსს აკადემიაში მოცემული დარგის და სწავლების მეთოდოლოგიის ევროპულ სტანდარტებთან თანხვედრას, სტუდენტების შემოქმედებითი და კონცეპტუალური ხედვის მრავალფეროვნებას. თუმცა უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში (პანდემიის დასრულებისთანავე) საგრძნობლად გააქტიურდა ამგვარი აქტივობები აკადემიის სხვა ფაკულტეტების მიმართაც, რაც თსსა ფაკულტეტების მხრიდან ინტერდისციპლინარული საერთაშორისო პროექტებში ჩართულობის და კოლაბორაციის მზაობის გამოხატვის შედეგია.

სამომავლოდ დაგეგმილი გვაქვს რამდენიმე ევროპულ პარტნიორ უნივერსიტეტთან თსსა ფაკულტეტების წარმომადგენლების პროფესიული, შემოქმედებითი/კვლევითი საერთაშორისო თანამშრომლობის ინიცირება/განვითარება და ერთობლივი პროექტის რეალიზაციაში მხარდაჭერა, რაც თსს აკადემიის მხრიდან თანადაფინანსებას და საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის მხრიდან სხვა დაფინანსების გზების მოძიებაში მხარდაჭერას გულისხმობს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტის შემდეგ განახლდა თსსა საერთაშორისო პროექტების ნუსხა, რომელიც წარმოდგენილი გვაქვს ინტერნაციონალიზაციის დანართი 2.1.1 სახით, ხოლო დანართი 2.1.2 ასახავს 2018-2024 წლებში თსსა მობილობის და სხვადასხვა ტიპის საერთაშორისო გაცვლით პროექტებში მონაწილეობის დინამიკას.

ექსპერტთა ჯგუფი მადლობას უხდის თსსა-ს მათი არგუმენტირებული პოზიციისთვის, რომელიც გაგებულ და გათვალისწინებულ იქნა. ექსპერტთა ჯგუფი ასკვნის რომ რეკომენდაცია 2.1 არ უნდა შეიცვალოს.

რეკომენდაცია 2.2

“რეკომენდებულია, რომ კვლევის შედეგების ანალიზი და რეკომენდაციების ფორმულირება განხორციელდეს პროგრამის ხელმძღვანელების, დეკანის მოადგილეების და პროგრამის მართვაში ჩართული სხვა ადმინისტრაციული პერსონალისგან დამოუკიდებლად. ამის მიღწევა შესაძლებელია მკაფიო პროტოკოლების დადგენით, რომლებიც გამიჯნავს ხარისხის უზრუნველყოფის პროცესში მონაწილე პირთა როლებს პროგრამის ხელმძღვანელობაში ჩართული პირების როლებისგან.”

“რეკომენდებულია მოგვარდეს პოტენციური ინტერესთა კონფლიქტები, რომლებიც წარმოიქმნება ორმაგი როლებიდან, სადაც ხარისხის უზრუნველყოფის გუნდების წევრები ასევე იკავებენ პროგრამის ხელმძღვანელების პოზიციებს”.

თსსა პოზიცია: სხვადასხვა ტიპის კვლევის ანალიზში მართლაც, როგორც წესი, ჩართულია პროგრამის ხელმძღვანელი და აკადემიური პერსონალის წარმომადგენელი. კვლევები სხვადასხვა საკითხებზე ტარდება და, მათ შორის, ვიკვლევთ როგორც ზოგადად პროგრამით, ასევე, მასში შემავალი სასწავლო კურსებით სტუდენტების კმაყოფილებას. სახელოვნებო პროგრამების სპეციფიკა იმგვარია, რომ ამა თუ იმ დარგის თავისებურება, მაგალითად, პრაქტიკული სასწავლო კურსების მოცულობა, შინაარსი, მათი მიმდინარეობის სხვადასხვა ასპექტი სრულიად განსხვავებული შეიძლება იყოს ერთი ფაკულტეტის სხვადასხვა პროგრამის ფარგლებშიც კი. ამდენად, პროგრამის ხელმძღვანელის ჩართულობა აუცილებელ ფაქტორად მიგვაჩნია, რადგან მისი, როგორც ხელოვნების კონკრეტული დარგის სპეციალისტის კვალიფიკაცია დაფიქსირებული ხარვეზის შეფასებისა და მისი აღმოფხვრის წინაპირობაა. მეორე მხრივ, თითოეულ ფაკულტეტზე პრაქტიკულად არ არსებობს პროგრამის შესაბამისი დარგის ისეთი

აკადემიური პერსონალი, რომელიც არ არის პროგრამის განხორციელებაში ჩართული. როგორც კვლევების ჩატარების მრავალწლიანი გამოცდილებაც ადასტურებს, არსებული პრაქტიკა არ წარმოშობს ერთგვარ ინტერესთა კონფლიქტს, რაკიდა პროგრამის ხელმძღვანელი და დარგის წამყვანი სპეციალისტები იღებენ ამ პროცესში მონაწილეობას;

ამდენად, თუ კვლევის შედეგების ანალიზში მხოლოდ სხვა დარგების წარმომადგენლები იქნებიან ჩართული (უნდა აღინიშნოს, რომ ფაკულტეტებზე თავმოყრილია ხელოვნების სხვადასხვა დარგი და, შესაბამისად, ხორციელდება განსხვავებული პროგრამები), მაგალითად, ფაკულტეტის ხარისხის სამსახურის წარმომადგენელი და რომელიმე მომიჯნავე დარგის აკადემიური პერსონალი, სავარაუდოდ, რთული იქნება კვლევის შედეგებზე დაყრდნობით ეფექტური და სწორი რეკომენდაციების შემუშავება. ისიც აღსანიშნავია, რომ კვლევის შედეგების ანალიზსა და რეკომენდაციების შემუშავების პროცესში პროგრამების აკადემიური პერსონალის ჩართვა ხარისხის კულტურის პოლიტიკის მნიშვნელოვან ელემენტს წარმოადგენს და შესაძლებლობას აძლევს მათ მკაფიოდ გააცნობიერონ ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის თუ მექანიზმების არსი.

ექსპერტთა ჯგუფი მადლობას უხდის თსსა-ს მათი არგუმენტირებული პოზიციისთვის, რომელიც გაგებულ და გათვალისწინებულ იქნა. ექსპერტთა ჯგუფი ასკვნის რომ რეკომენდაცია 2.2 არ უნდა შეიცვალოს.

რეკომენდაცია 2.2

“რეკომენდებულია, რომ თსსა-მ სტუდენტთა უკუკავშირის სანდოობისა და ვალიდურობის გასაუმჯობესებლად გაამრავალფეროვნოს თავისი მეთოდები ნაცვლად იმისა, რომ მხოლოდ სავალდებულო გამოკითხვებს დაეყრდნოს.”

თსსა პოზიცია: თსსა საკმაოდ მცირე ზომის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებაა. ამასთან, სახელოვნებო დარგების სპეციფიკიდან გამომდინარე სასწავლო ჯგუფები მცირერიცხოვანია; სტუდენტებს ძალიან მჭიდრო კავშირი აქვთ დარგის/ პროგრამის ხელმძღვანელებთან, რაც მათ შორის არა მხოლოდ შემოქმედებით პროცესში აუცილებელ პროფესიულ კავშირის არსებობაზე, არამედ ნდობაზეც მიუთითებს. ამან საშუალება მოგვცა თავდაპირველად სადოქტორო პროგრამების სტუდენტებთან დაგვეწერა ე.წ. მრგვალი მაგიდების პრაქტიკა, როდესაც პედაგოგები და სტუდენტთა ფოკუს ჯგუფები საუბრობენ მიმდინარე პროგრამის შესახებ. შემდგომ ეს პრაქტიკა დავერგეთ ყველა საფეხურის პროგრამის სტუდენტებთანაც. ასეთი კვლევის შედეგები ყოველთვის უფრო მრავალფეროვანი, უშუალოა და საინტერესო ინფორმაციას გვაწვდის. გასულ სასწავლო წელს საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერული აკრედიტაციის პროცესში პედაგოგებსა და სტუდენტებს შორის ასეთი უშუალო ურთიერთობა არაერთგზის აღინიშნა, როგორც საუკეთესო პრაქტიკა, მაგრამ, ამავე დროს, რამდენიმე შემთხვევაში გამოითქვა რეკომენდაცია, ვიზრუნოთ კვლევების მეტად

ფორმალიზებაზე. აკრედიტაციის ამ რეკომენდაციების გათვალისწინებით შევიმუშავეთ რამდენიმე ახალი ტიპის კითხვარი (იხ. დანართი 2.2.1. კითხვარი მომზადებულია სადოქტორო პროგრამების ახალი ჩარჩოს მოთხოვნების გათვალისწინებით).

სამეცნიერო და შემოქმედებითი კვლევებისა და განვითარების სამსახური, სავალდებულო კითხვარებთან ერთად, სტუდენტებთან კომუნიკაციის გასაუმჯობესებლად, რამაც უნდა აამაღლოს უკუკავშირის სანდოობა და ვალიდურობა, გეგმავს სტუდენტებისთვის მოამზადოს პოდკასტების სერია, დაგეგმოს მრგვალი მაგიდეები სამსახურის კომპეტენციაში შემავალ საკითხებზე სტუდენტებისთვის. შედეგად სტუდენტები უშუალოდ ჩაერთვებიან სამსახურთან კომუნიკაციაში, გახდებიან საერთო მიზნის ნაწილი, რაც გულისმობს სამეცნიერო და შემოქმედებითი კვლევების მიმართულებით მაქსიმალურ პროგრესს, როგორც ინსტიტუციურ, ასევე პერსონალურ დონეზე. საკითხის ინტეგრაცია მოხდება სამსახურის სტრატეგიაში და თან დაერთვება KPI რაოდენობრივი და ხარისხობრივი ინდიკატორები.

ამდენად, კვლევების სანდოობის უზრუნველსაყოფად აქტიურად ვმუშაობთ როგორც სავალდებულო კვლევების, ასევე პირისპირ შეხვედრების მიმართულებით. ვფიქრობთ, ექსპერტთა ვიზიტის დროს ვერ მოხერხდა ამ ასპექტის სათანადოდ წარმოჩენა, რაც აღნიშნული რეკომენდაციის საფუძველს წარმოადგენს.

ექსპერტთა ჯგუფი მადლობას უხდის თსსა-ს მათი არგუმენტირებული პოზიციისთვის, რომელიც გაგებულ და გათვალისწინებულ იქნა. ექსპერტთა ჯგუფი ასკვნის რომ რეკომენდაცია 2.2 არ უნდა შეიცვალოს.

რეკომენდაცია 2.2.

“რეკომენდებულია ხარისხის უზრუნველყოფის გუნდის გაძლიერება ახალი წევრების დამატებით, რომლებიც არ არიან ჩართულნი პროგრამის მართვაში, რაც უზრუნველყოფს, რომ მათი როლები და პასუხისმგებლობები არ გადაიკვეთება.”

თსსა პოზიცია: ამ რეკომენდაციას სავსებით ვიზიარებთ, მაგრამ მისი შესრულება შესაძლებელი იქნება მხოლოდ მომავალი 2025 წლიდან. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური მუშაობს ოპტიმალურ სტრუქტურაზე, რომელიც მომავალი წლის ბიუჯეტში იქნება ასახული, ხოლო თანამშრომლების სერჩევა მოხდება ღია კონკურსის გზით.

ექსპერტთა ჯგუფი მადლობას უხდის თსსა-ს მათი არგუმენტირებული პოზიციისთვის, რომელიც გაგებულ და გათვალისწინებულ იქნა. ექსპერტთა ჯგუფი ასკვნის რომ რეკომენდაცია 2.2 არ უნდა შეიცვალოს.

რეკომენდაცია 2.3

“რეკომენდებულია, რომ თსსა-მ რეგულარულად ჩაატაროს სემინარები და ტრენინგები

როგორც სტუდენტებისთვის, ასევე აკადემიური პერსონალისთვის, ციტირების სათანადო მეთოდებსა და აკადემიური რეფერირების სტანდარტებში მათი ცოდნის ამაღლების მიზნით.”

თსსა პოზიცია: სამეცნიერო და შემოქმედებითი კვლევებისა და განვითარების სამსახურმა მოამზადა ციტირების სათანადო მეთოდებისა და აკადემიური რეფერირების სტანდარტებთან დაკავშირებული ტრენინგების პაკეტი აკადემიური, მოწვეული და სამეცნიერო პერსონალისთვის, რომელიც ჩატარდება წელიწადში ორჯერ, შემოდგომისა და გაზაფხულის სემესტრებისას. საკითხის ინტეგრაცია მოხდება სამსახურის სტრატეგიაში და თან დაერთვება KPI რაოდენობრივი და ხარისხობრივი ინდიკატორები.

აღნიშნულ პაკეტზე დაყრდნობით, სამეცნიერო და შემოქმედებითი კვლევების სამსახური, ხარისხის სამსახურთან თანამშრომლობით, იმუშავებს შესაბამისი სილაბუსების (მაგ. აკადემიური წერა, ნაშრომის შექმნის პრინციპები) ინფორმაციულ განახლებაზე, რათა ციტირების და რეფერირების საკითხები შევიდეს სასწავლო პროცესში სამივე საფეხურის სტუდენტებისთვის. საკითხის ინტეგრაცია მოხდება სამსახურის სტრატეგიაში და თან დაერთვება KPI რაოდენობრივი და ხარისხობრივი ინდიკატორები.

ექსპერტთა ჯგუფი მადლობას უხდის თსსა-ს მათი არგუმენტირებული პოზიციისთვის, რომელიც გაგებულ და გათვალისწინებულ იქნა. ექსპერტთა ჯგუფი ასკვნის რომ რეკომენდაცია 2.3 არ უნდა შეიცვალოს.

რეკომენდაცია 2.3

„ რეკომენდებულია მკაფიო და თანმიმდევრული სახელმძღვანელო პრინციპების და პლაგიატის პოლიტიკის შესახებ ინფორმაციის მიწოდება, რაც უზრუნველყოფს გამჭვირვალობასა და გაგებას აკადემიურ საზოგადოებაში.”

თსსა პოზიცია: სამეცნიერო და შემოქმედებითი კვლევებისა და განვითარების სამსახურმა მოამზადა პლაგიატის საკითხთან დაკავშირებული ტრენინგების პაკეტი აკადემიური, მოწვეული და სამეცნიერო პერსონალისთვის, რომელიც ჩატარდება წელიწადში ორჯერ, შემოდგომისა და გაზაფხულის სემესტრებისას.

აღნიშნულ პაკეტზე დაყრდნობით, სამეცნიერო და შემოქმედებითი კვლევების სამსახური, ხარისხის სამსახურთან თანამშრომლობით, იმუშავებს შესაბამისი სილაბუსების (მაგ. აკადემიური წერა, ნაშრომის შექმნის პრინციპები) ინფორმაციულ განახლებაზე, რათა პლაგიატთან დაკავშირებული საკითხები მოცულობრივად იქნეს ინტეგრირებული სასწავლო პროცესში სამივე საფეხურის სტუდენტებისთვის. რიგ

შემთხვევებში, მაგ, სამაგისტრო და სადოქტორო საფეხურებზე შეიქმნება ახალი სილაბუსები მეცნიერებისა და კვლევის ინსტრუმენტარიის საკითხების დასაუფლებლად (პლაგიატი, ეთიკა და კეთილსინდისიერება კვლევებში, კვლევის ეთიკის ევროპული კოდექსი და საუკეთესო პრაქტიკები და სხვ.)

ექსპერტთა ჯგუფი მადლობას უხდის თსსა-ს მათი არგუმენტირებული პოზიციისთვის, რომელიც გაგებულ და გათვალისწინებულ იქნა. ექსპერტთა ჯგუფი ასკვნის რომ რეკომენდაცია 2.3 არ უნდა შეიცვალოს.

რეკომენდაცია 3.2

“რეკომენდებულია, ყველა შესაბამისი დოკუმენტაცია, მათ შორის სამაგისტრო კვლევითი კომპონენტის მკაფიო აღწერა და წერილობითი ნაშრომის სტრუქტურა, ადვილად ხელმისაწვდომი იყოს და ეფექტურად მიეწოდებოდეს სტუდენტებსა და პერსონალს.”

თსსა პოზიცია: ექსპერტთა ჯგუფის მიერ რეკომენდებული დოკუმენტაცია, მათ შორის სამაგისტრო კვლევის კომპონენტისა და წერილობითი ნაშრომის სტრუქტურის მკაფიო აღწერა, განხილული და დამტკიცებულია თსსა აკადემიური საბჭოს მიერ 2022 წლის 5 სექტემბერს, სხდომის ოქმი N5 (იხ. დანართი 3.2.1)

თსსა პოზიცია: დასკვნის ტექსტიდან ირკვევა, რომ ინტერვიუს დროს სამაგისტრო ნაშრომის სესახებ დასმულ შეკითხვაზე დაფიქსირდა არასწორი პასუხი, რამაც განაპირობა აღნიშნული რეკომენდაციის შემუშავება. ამდენად, ფაკულტეტების მიერ დასკვნის პროექტის განხილვის შემდეგ მივიღეთ გადაწყვეტილება, ყოველი სასწავლო წლის დაწყებისას, სადიპლომო თემების დამტკიცებამდე არანაკლებ სამი კვირით ადრე დიპლომანტებს საგანგებო შეხვედრა მოვუწყოთ ფაკულტეტის წარმომადგენლებთან და სამაგისტრო ნაშრომთან დაკავშირებული მთელი დოკუმენტაცია გავაცნოთ, მოვისმინოთ მათი კითხვები და ამომწურავად განვუმარტოთ სამაგისტრო ნაშრომის შექმნის, გაფორმების და შეფასების პროცედურები. დოკუმენტაციის ხელმისაწვდომობის უკეთ უზრუნველსაყოფად ის განთავსებული იქნება ასევე თსსა ვებგვერდზე (იხ. დანართი 3.2.1 და დანართი 3.2.2).

ექსპერტთა ჯგუფი მადლობას უხდის თსსა-ს მათი არგუმენტირებული პოზიციისთვის, რომელიც გაგებულ და გათვალისწინებულ იქნა. ექსპერტთა ჯგუფი აღნიშნავს, რომ მითითებული დანართი 3.2.1., 3.2.2. არ ადასტურებს, რომ სტუდენტებსა და პერსონალს აქვთ სწავლის/სწავლების წერითი კომპონენტის სტრუქტურის ხელმისაწვდომი ნიმუში. ჯგუფი გაეცნო სამაგისტრო ნაშრომების ნიმუშებს, რაც მიუთითებს, რომ დაწესებულებამ უნდა იმუშაოს კვლევითი კომპონენტის წერის სწავლებისთვის სტრუქტურის მკაფიო

აღწერილობის შექმნაზე. ექსპერტთა ჯგუფი ასკვნის, რომ რეკომენდაცია 3.2 არ უნდა შეიცვალოს.

რეკომენდაცია 3.2

“რეკომენდებულია აკადემიამ განიხილოს თითოეული პროგრამისათვის ძირითადი ლიტერატურის მოთხოვნები, სანდო ინგლისურენოვანი რესურსების ხელმისაწვდომობის გათვალისწინებით.”

თსსა პოზიცია: სავალდებულო ქართულ და უცხოენოვან ლიტერატურაზე, სანდო ელექტრონულ რესურსებზე მუშაობა პერმანენტულ რეჟიმში მიმდინარეობს. კლასტერული აკრედიტაციის პროცესში მსგავსი რეკომენდაცია დაგვიფიქსირდა რამდენიმე პროგრამასთან მიმართებით და სრულიად განახლდა სავალდებულო ლიტერატურის ბაზა. თსსა ამჟამად აქვს სხვადასხვა საფეხურის 4 ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამა, რომელთა უზრუნველყოფა როგორც ბეჭდური, ასევე, ელექტრონული რესურსით პრაქტიკულად დასრულებულია. აღსანიშნავია, რომ ზოგიერთი დარგის განვითარება იმდენად სწრაფად მიმდინარეობს (მაგალითად, მედიახელოვნება), რომ ყოველწლიურად აუცილებელია სასწავლო კურსების სავალდებულო ლიტერატურის განახლება. სასწავლო წლის დასრულებისას ფაკულტეტები ბიბლიოთეკას აწვდიან ახალი ლიტერატურის სიას ან ელექტრონული რესურსების ჩამონათვალს (პროცესს კურირებს საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი), რათა დროულად მოხერხდეს სასწავლო პროცესის ლიტერატურით უზრუნველყოფა.

ექსპერტთა ჯგუფი მადლობას უხდის თსსა-ს მათი არგუმენტირებული პოზიციისთვის, რომელიც გაგებულ და გათვალისწინებულ იქნა. ექსპერტთა ჯგუფი ასკვნის რომ რეკომენდაცია 3.2 არ უნდა შეიცვალოს.

რეკომენდაცია 4.1.

“აკადემიური და კვლევითი პერსონალის საშუალო ასაკის გათვალისწინებით, რეკომენდირებულია აკადემიამ შეიმუშავოს ეფექტური სისტემა საგანმანათლებლო და კვლევით პროცესებში ახალგაზრდა კადრების მოზიდვის, ჩართვისა და შენარჩუნებისათვის; სხვა აუცილებელი აქტივობების გარდა, აკადემიისთვის მნიშვნელოვანია შექმნას პოსტდოქტორანტების და ასისტენტების დაქირავებისა და სასწავლო და კვლევით საქმიანობაში მათი ინტეგრაციის მხარდაჭერის ეფექტიანი მექანიზმები”

თსსა პოზიცია: პოსტოქტორანტების კვლევით საქმიანობაში ინტეგრაციის პრობლემის გადასაჭრელად სამეცნიერო და შემოქმედებითი კვლევების სამსახურმა შეიმუშავა გეგმა, რომლის თანახმადაც, სამსახური, სამეცნიერო ცენტრებთან თანამშრომლობით, თავად გაუკეთებს ინიცირებას კვლევით პროექტებს, რომელთა განხორციელებისას სავალდებულო იქნება პოსტოქტორანტებისა და დოქტორანტების ჩართულობა. ასევე დოქტორანტების და სამეცნიერო პერსონალის მიერ ინიცირებულ პროექტებში, სავალდებულოს გახდის პოსტდოკების მონაწილეობას სამეცნიერო და შემოქმედებითი პროექტების დაფინანსების წესში ცვლილების შეტანის გზით.

ექსპერტთა ჯგუფი მადლობას უხდის თსსა-ს მათი არგუმენტირებული პოზიციისთვის, რომელიც გაგებულ და გათვალისწინებულ იქნა. ექსპერტთა ჯგუფი ასკვნის რომ რეკომენდაცია 4.1 არ უნდა შეიცვალოს.

რეკომენდაცია 4.2

"რეკომენდებულია ზეგანაკვეთური სამუშაოს პრევენციის მექანიზმების შემუშავება: ზეგანაკვეთური სამუშაოს თავიდან ასაცილებლად რეკომენდებულია განხორციელდეს ღონისძიებები, მათ შორის პროცესების გაციფრულება, საჭირო ტექნიკური რესურსების ინტეგრირება და სამუშაო დატვირთვის ადეკვატური განაწილების უზრუნველყოფა; დაწესდეს ზეგანაკვეთური სამუშაოს აღრიცხვის ეფექტური მექანიზმები, გადაიჭრას ზეგანაკვეთთან დაკავშირებული სისტემური საკითხები და დარეგულირდეს ზეგანაკვეთური სამუშაოს დასაშვები ინდივიდუალური შემთხვევების პირობები და წესები."

ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტის მიმდინარეობისას, სამწუხაროდ, არ დასმულა შეკითხვა ზეგანაკვეთური სამუშაოს აღრიცხვის და ანაზღაურების შესახებ. თსსა აქვს 2016 წელს შემუშავებული სამუშაოს აღრიცხვის ფორმა და წარმომადგენლობითი საბჭოს გადაწყვეტილება ანაზღაურების ოდენობის განსაზღვრის თაობაზე (იხ.დანართი 4.2.1 და 4.2.2)

ზეგანაკვეთური სამუშაოს პრევენციის თაობაზე თსსა ადმინისტრაცია ამჟამადაც მუშაობს. 2023 წლის განმავლობაში, როდესაც კლასტერული აკრედიტაციისთვის მოსამზადებელი იყო აკადემიის თითქმის ყველა სახელოვნებო პროგრამა, სამუშაოს ოდენობა მართლაც სცდებოდა ჩვეულებრივ ნორმებს. ისიც გასათვალისწინებელია, რომ აკადემიის ფინანსური შესაძლებლობები საკმაოდ შეზღუდულია და არ იძლევა აკადემიური ან ადმინისტრაციული პერსონალის საგრძნობლად გაზრდის შესაძლებლობას, რაც, ბუნებრივია, ზეგანაკვეთური სამუშაოს პრევენციის ერთ-ერთი საუკეთესო გზა იქნებოდა. ამდენად, ვმუშაობთ იმაზე, რომ წინასწარ უკეთ დავგეგმოთ

ყოველ სასწავლო წელს შესასრულებელი სამუშაო და გეგმაზომიერი მუშაობის პრინციპების გამოყენებით მინიმუმამდე დავიყვანოთ ზეგანაკვეთური სამუშაოს მოცულობა როგორც აკადემიური, ასევე, ადმინისტრაციული პერსონალისათვის.

ექსპერტთა ჯგუფი მადლობას უხდის თსსა-ს მათი არგუმენტირებული პოზიციისთვის, რომელიც გაგებულ და გათვალისწინებულ იქნა. ექსპერტთა ჯგუფი ასკვნის რომ რეკომენდაცია 4.2 არ უნდა შეიცვალოს.

რეკომენდაცია 5.1

„რეკომენდებულია, აკადემიამ სტუდენტის გზამკვლევაში შეიტანოს ინფორმაცია სტუდენტთა უფლებების შესახებ, რათა უზრუნველყოს სტუდენტების გაცნობიერება ამ საკითხებში, და მოძებნოს კომუნიკაციის უკეთესი მეთოდები, რაც შეავსებს პერსონალსა და სტუდენტებს შორის არსებულ უფრო არაფორმალურ ურთიერთობებს.

“რეკომენდებულია ეთიკის კოდექსში საჩივრების განხილვის პროცედურის ჩართვა.”

თსსა პოზიცია: ორივე რეკომენდაცია შესრულებულია. ეთიკის კოდექსზე მუშაობა ექსპერტთა ვიზიტის დროს მიმდინარეობდა და ეს აღინიშნა კიდევ ინტერვიუს დროს. ხოლო სტუდენტთა გზამკვლევაში მათი უფლებების შესახებ ინფორმაცია დავამატეთ (იხ. დანართი 5.1.1; 5.1.2 და 5.1.3)

ექსპერტთა ჯგუფი მადლობას უხდის თსსა-ს მათი არგუმენტირებული პოზიციისთვის, რომელიც გაგებულ და გათვალისწინებულ იქნა. ექსპერტთა ჯგუფი აღნიშნავს, რომ სტუდენტთა უფლებები აპელაციასა და საჩივრის რეგისტრაციაზე არ არის შეტანილი დანართში 5.1.4 (ა). ექსპერტთა ჯგუფი ასკვნის, რომ რეკომენდაცია 5.1 არ უნდა შეიცვალოს.

რეკომენდაცია 7.1

“რეკომენდებულია აკადემიამ შექმნას ინკლუზიური და ხელმისაწვდომი გარემო ყველა კამპუსში და შეიმუშაოს კონკრეტული, რეალისტური გეგმა ამ მიზნის მისაღწევად.”

თსსა პოზიცია: აკადემიის მაღლივი კორპუსის სამი სართულის სარეაბილიტაციო სამუშაოები გათვალისწინებულია 2025 წლის დასაწყისიდან, რომელიც სავარაუდოდ გაგრძელდება რვა თვის განმავლობაში. გეგმით გათვალისწინებულია ყველა იმ პუნქტის შესრულება, რომელიც მოცემულია ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნის პროექტში (ეტლით მოსარგებლეთათვის პანდუსები შესასვლელებში, კომპიუტერის ოთახი ინდივიდუალური სამუშაოებისთვის, სტუდენტური კარადები და სხვა.)

“რეკომენდებულია საგანმანათლებლო ინფრასტრუქტურის განახლება, განსაკუთრებით იმ კამპუსებში, სადაც ინფრასტრუქტურა მნიშვნელოვნად მოძველებულია და არ

შეესაბამება სტანდარტებს (მაგალითად, კამპუსები ლაპიაშვილისა და ლუბლიანას ქუჩებზე).”

თსსა პოზიცია: წარმოგიდგენთ თსსა ზუბალაშვილების ქუჩაზე დაფ. ლაპიაშვილის ქუჩაზე მდებარე სასწავლო შენობების სარეაბილტაციო სამუსაოების მიმდინარეობის დამადასტურებელ დოკუმენტაციას (იხ. დანართი 7.1.1 და 7.1.2) ტენდერები ხარჯთაღრიცხვა

“რეკომენდებულია აკადემიამ განახორციელოს შენობების სტრუქტურული მთლიანობისა და სახანძრო უსაფრთხოების შემოწმებები (კვალიფიციური სუბიექტების მიერ) და შემდგომ შეიმუშაოს აუცილებელი მაკორექტირებელი ღონისძიებების გეგმა.”

თსსა პოზიცია: წარმოგიდგენთ თსსა შენობების ტექნიკური მდგომარეობის შესახებ სამხარაულის ეროვნული ცენტრის მიერ გაცემულ დასკვნებს (იხ. დანართები 7.1.3; 7.1.4; 7.1.5; 7.1.6; 7.1.7; 7.1.8)

2023 წლის კლასტერული აკრედიტაციებიდან მიღებულმა რეკომენდაციებმა თითოეულ ფაკულტეტს მისცა შესაძლებლობა გადაეხედა და განეხილა თავისი პროგრამები, რათა უზრუნველყო მათი აქტუალობა მუდმივად ცვალებად გარემოში. ექსპერტთა ჯგუფმა თვითშეფასების ანგარიშში (გვ. 34) წაიკითხა, რომ პროგრამების გადახედვის პროცესი მუდმივი პროცესია. ის მოიცავს უკუკავშირის სტუდენტთა გამოკითხვებიდან, ასევე იმ პროფესორების მოსაზრებებს, რომლებიც ზედამხედველობას უწევენ საგანმანათლებლო პროგრამებს. ფაკულტეტის საბჭოს მიერ მიღების შემდეგ, იქმნება ფაკულტეტის კომისია მონაცემების განხილვისა და ანალიზისთვის. ამ კომისიის შემადგენლობაში შედის დეკანი, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი და აკადემიური პერსონალის წარმომადგენელი (თვითშეფასების ანგარიში გვ. 34). ფაკულტეტის დონეზე ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური განაგრძობს პროგრამების მხარდაჭერას, საბაკალავრო პროგრამების ხელმძღვანელები რეგულარულად ატარებენ სამუშაო ჯგუფის შეხვედრებს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან, რათა შეამოწმონ, მათი პროგრამების "სწორი მიმართულებით" სვლა, როგორც ეს დადასტურდა ინტერვიუების შედეგად (შეხვედრა 3.1). საბაკალავრო პროგრამების ხელმძღვანელებმა აღნიშნეს, რომ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის თანამშრომლები ყოველთვის მზად არიან დასახმარებლად. საბაკალავრო პროგრამის სტუდენტებმა დაადასტურეს, რომ ყოველი სემესტრის ბოლოს ისინი სავალდებულო უკუკავშირის აძლევენ თავიანთი სასწავლო პროგრამის შესახებ და რომ კითხვარები მოიცავს 'ღია' კითხვებს (შეხვედრა 2.4). კურსდამთავრებულებმა მოიტანეს მაგალითი, თუ როგორ გამოიწვია მათმა უკუკავშირმა ცვლილება მათ სასწავლო პროგრამაში, როდესაც ქანდაკების კურსი დაემატა არჩევითი საგნის სახით (შეხვედრა 3.3). მაგისტრატურის პროგრამების ხელმძღვანელებმა განაცხადეს, რომ მათ სტუდენტების უკუკავშირის შესაბამისად, საჭიროებისამებრ, შეაქვე ცვლილებები თავიანთ პროგრამებში, . ეს შეესაბამება გრძელვადიანი სტრატეგიული განვითარების გეგმის პრიორიტეტს, უზრუნველყოს საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხი უწყვეტი მონიტორინგისა და შეფასების გზით, და ეს პროცესი გაწერილია "TSAA-ს ხარისხის შეფასების შედეგების გამოყენების პროცედურასა და შედეგის გამოყენების ანგარიშში (2022-2024)".

თსსა სწავლოს მსგავს პროგრამებს საქართველოში, რათა სწორად წარმართოს საკუთარი პროგრამების დაგეგმვა და დიზაინი. ექსპერტთა ჯგუფმა დაადგინა, რომ საერთაშორისო ოფისი ხელს უწყობს პროგრამის ხელმძღვანელებს რამდენიმე გზით:

რეგიონული გაცვლების ორგანიზებით, როგორცაა ვიზიტი ბაქოში, აზერბაიჯანში, "ტექსტილის კონსერვაციის პროგრამის" შემუშავებისას; Erasmus-ის დაფინანსების გამოყენებით (მობილობის გარდა) პერსონალის მიერ ავსტრიაში დიპლომის გამოფენებზე დასასწრებად "გამოფენის დიზაინის" პროგრამისთვის; და კავშირების დამყარებით RIBA-სთან (გაერთიანებული სამეფო) არქიტექტურის პროგრამისთვის. შესაბამის პროგრამებთან კავშირები სასარგებლოდ არის ჩართული ზოგიერთ პროგრამულ დოკუმენტში, მაგალითად, საბაკალავრო პროგრამა 0211.1.8 გრაფიკული დიზაინი, გვ. 7

საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების ორგანიზაციული და მარეგულირებელი ასპექტები, მათ შორის: ჩარიცხვა და სტუდენტის სტატუსი; სასწავლო ჯგუფის ზომა; სწავლის საფასური; სწავლის შეჩერება; ხელშეკრულება თსსა-სა და სტუდენტს შორის; სწავლის შეწყვეტა; და სწავლის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულობა, მოცემულია "საგანმანათლებლო პროცესის მარეგულირებელ დოკუმენტში" (მუხლები 3-19). ასევე მოცემულია მისაღები გამოცდების პროცედურები; ექსპერტთა ჯგუფმა კურსდამთავრებულებისგან მოისმინა, მიღების სამართლიანი პროცესისა და ძალიან პოზიტიური გამოცდილების შესახებ. "შემოქმედებითი ტური" კარგად მუშაობს და ექსპერტთა ჯგუფი დადებითად აფასებს, რომ "2023 წლის შემოქმედებით ტურზე პირველად გაეწია დახმარება სოციალურად მოწყვლად აბიტურიენტებს მათთვის სხვადასხვა სახატავი მასალების შეძენის სახით" (თვითშეფასების ანგარიში გვ. 47).

დოკუმენტში ასევე გათვალისწინებულია აკადემიური თავისუფლების პრინციპი ზოგადი დებულებების სახით (მუხლი 1). ექსპერტთა ჯგუფმა დაადგინა, რომ სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების ხელმძღვანელები აღიარებენ და აფასებენ საკუთარ და მათი სტუდენტების აკადემიურ თავისუფლებებს ეთიკური ჩარჩოს ფარგლებში (შეხვედრა 3.2).

მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, თსსა-ს საგანმანათლებლო პროგრამების დამტკიცების, შეცვლისა და გაუქმების რეგულაციები და პროცედურები მოცემულია "თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელმწიფო საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, დამტკიცებისა და შეფასების წესებში" (№ 05/43022 / 03 / 2022) და "საგანმანათლებლო პროცესის მარეგულირებელ დოკუმენტში", რომელიც განსაზღვრავს სტუდენტების უფლებებს (სამართლებრივ ინტერესებს) დაასრულონ თავიანთი განათლება, თუ ისინი სწავლობენ პროგრამაზე, რომელიც უქმდება ან ამოღებულია.

მტკიცებულება/ინდიკატორები

ვიზიტი და გასაუბრებები

თვითშეფასების ანგარიში

დანართი 3.2.1- საგანმანათლებლო პროგრამა;

დანართი 3.1.2

დანართი 3.1.3

დანართი 4.1.3

რეკომენდაციები: არ არის მითითებული
რჩევები: არ არის მითითებული
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): არ ეხება
შეფასება ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან.

3.2 საგანმანათლებლო პროგრამების სტრუქტურა და შინაარსი
- პროგრამის სწავლის შედეგები ნათლად არის ჩამოყალიბებული და შესაბამისობაშია უმაღლესი განათლების საფეხურის დონესთან და მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან. - ინდივიდუალური საგანმანათლებლო პროგრამების მეშვეობით უსდ უზრუნველყოფს სტუდენტების განსხვავებული მოთხოვნების, საჭიროებებისა და აკადემიური მზადყოფნის გათვალისწინებას და მათ შეუფერხებელ ჩართულობას საგანმანათლებლო პროცესში.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი: ნათელია, რომ სასწავლო პროგრამების შექმნისა და შემუშავებისას აკადემია იცავს მოქმედ კანონმდებლობას და კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემის (ECTS) სახელმძღვანელო მითითებებს. სტუდენტებს ECTS-ის შესახებ ეცნობებათ სტუდენტური გზამკვლევის მეშვეობით (5.2.1a). რაც შეეხება სწავლის შედეგებს (LOs), როგორც ეს მოცემულია "თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, დამტკიცებისა და შეფასების წესში" (№ 05/43022/03/2022წ.), ექსპერტთა ჯგუფმა დაადგინა, რომ სილაბუსებში სწავლის შედეგები შეესაბამება ეროვნულ კვალიფიკაციების ჩარჩოს, სწავლის სფეროს კლასიფიკატორს და უმაღლესი განათლების სამივე საფეხურის დონეს. სწავლის შედეგები ზოგადად კარგად არის დაწერილი, ბლუმის ტაქსონომიის მიხედვით (განახლებული 2001წ.) და ასახავს ხელოვნებას, დიზაინს, არქიტექტურას და ხელოვნების სფეროს მახასიათებლების ისტორიასა და თეორიას. ამის კარგი მაგალითია ტექსტილის დიზაინის საბაკალავრო პროგრამაში „მუშაობა მასალებთან (ცივი ბატიკი)“. სწავლის შედეგების რუკებში დოკუმენტირებულია, თუ როგორ ეხამება სწავლის შედეგები პროგრამის მიზნებს და ასევე, დარგობრივ და ზოგად კომპეტენციებს (მაგ., ფერწერის საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგების რუკები 1 და 2). ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ პროგრამების სტრუქტურა და შინაარსი მიღწევადია მოსალოდნელ ვადებში, თუმცა, ცხადია, რომ სტუდენტების დიდი ნაწილი დროებით აჩერებს სწავლას ან უფრო მეტ დროს

ანდომებს სწავლის დამთავრებას (თვითშეფასების ანგარიში, ცხრილი 3.2, გვ. 7). ექსპერტთა ჯგუფმა მოისმინა, რომ Covid-19-ის გლობალური პანდემიის განსაკუთრებული კონტექსტი იყო მიზეზი იმისა, რომ ზოგიერთმა სტუდენტმა გაიხანგრძლივა ან შეაჩერა სწავლა და რომ სტუდენტებზე ეკონომიკური ზეწოლა ასევე იწვევს ბევრი მათგანის მიერ სწავლის დროებით შეჩერებას.

უსდ აერთიანებს ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებს (IEPs) ინდივიდუალური საჭიროებების დასაკმაყოფილებლად და საგანმანათლებლო პროცესში ჩართვის ხელშესაწყობად (ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების მეთოდოლოგია 2.3.1., დანართი მარეგულირებელი წესი 11.1.1.). სწავლის სფეროების კლასიფიკატორის საფუძველზე (ნაწილი 3.1), გამოყენებითი ხელოვნების ბაკალავრიატის სტუდენტებს პროგრამებში შესაძლებლობა აქვთ შეასრულონ ნაშრომი ან ზეპირი პრეზენტაცია, რაც ზემოაღნიშნული რეგულაციის შესაბამისად დადებითად ასახავს ინკლუზიურ სტრატეგიას. თუმცა, ექსპერტთა ჯგუფმა შენიშნა, რომ კურსების უმეტესობა არ არის ადაპტირებული სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტებზე, რაც ექვს იწვევს მათი სრულყოფილი მონაწილეობის შესაძლებლობის თაობაზე.

ექსპერტთა ჯგუფი აღნიშნავს, რომ თსსა-ს ყველა პროგრამა სტუდენტებს აძლევს შესაძლებლობას შეარჩიონ არჩევითი საგნები, როგორც მათი პროგრამის ნაწილი, თუმცა ყველა სტუდენტი არ ირჩევს არასავალდებულო ელემენტებს. როგორც აღნიშნულია ამ ანგარიშის 7.3 ქვესტანდარტში, საგანმანათლებლო პროგრამების განახლებული კატალოგი შეგიძლიათ იხილოთ ვებგვერდზე, რომელიც ხელმისაწვდომია შიდა და გარე დაინტერესებული მხარეებისათვის.

როგორც აღნიშნულია თვითშეფასების ანგარიშის შესავალში (გვ. 4), აკადემიის სტრატეგია - გაზარდოს თანამშრომლობას საერთაშორისო ინსტიტუტებთან - მიზნად ისახავს სწავლების თანამედროვე მეთოდების გაზიარების ხელშეწყობას და როგორც ზემოთ აღინიშნა, ამ ანგარიშის 3.1-ში, შესაბამისი სწავლების მეთოდების შემუშავებას, რომლებიც შეესაბამება სფეროს, ცენტრალურია პროგრამის შემუშავებაში და რასაც ზედამხედველობს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური. ექსპერტთა ჯგუფს ჰქონდა შესაძლებლობა განეხილა სწავლისა და სწავლების მეთოდები სილაბუსებში და დაედგინა, რომ ისინი ნამდვილად ასახავს ხელოვნების, დიზაინის, არქიტექტურისა და ხელოვნების ისტორიისა და თეორიის სფეროების პრაქტიკულ მახასიათებლებსა და სპეციფიკას, და შედგენილია სწავლის შედეგების მიღწევის უზრუნველსაყოფად. თუმცა, ექსპერტთა ჯგუფმა ცალკეულ შემთხვევებში გამოავლინა, რომ სილაბუსში სწავლებისა და სწავლის მეთოდების შესახებ ინფორმაცია იყო გამოტოვებული: მაგალითად, უნდა აღინიშნოს ფოტომონტაჟი, რომელიც ისწავლება არქიტექტურის პროგრამაში; უნდა დაზუსტდეს მოქმედი და ადგილობრივი რეგულაციები, რომლითაც ისწავლება საგნები „არქიტექტურული სამართალი და პროფესიული ეთიკა“ და „ქალაქის სატრანსპორტო ქსელები“; სილაბუსებში მკაფიოდ უნდა იყოს მითითებული, როგორ სრულდება კონკრეტული საგანი - ხელით თუ ციფრულად (შეხვედრა 3.1).

ექსპერტთა ჯგუფმა გამოავლინა რამდენიმე კონკრეტული საკითხი:

- თსსა-ს დარგობრივი მახასიათებლების მიხედვით (სექცია 3.2), მაგისტრატურის სტუდენტები დამოუკიდებლად შეიმუშავებენ კარგად განსაზღვრულ კონცეფციას და განახორციელებენ მას შემოქმედებითი მიდგომებისა და უახლესი

ტექნოლოგიების/ტექნიკის გამოყენებით. თუმცა, მოწოდებულ დოკუმენტაციას აკლდა დოკუმენტი, რომელიც ასახავდა მაგისტრატურის სპეციფიკურ კვლევით კომპონენტს. სამაგისტრო ნაშრომის თემის არჩევას თსსა პროგრამაზე, როგორც ჩანს, წყვეტს ფაკულტეტის საბჭო (ოქმი N43, 2022 წლის 17 მარტი). მედია ხელოვნების განათლების სფეროს კლასიფიკატორის მიხედვით, სტუდენტებისაგან მოელიან პროექტის კონცეფციის შემუშავებას. თსსა-ს სამაგისტრო კვლევის კომპონენტის წესი მედია ხელოვნების პროგრამისათვის ამოქმედდა N5 ოქმით (2022 წლის 5 სექტემბერი). ექსპერტთა ჯგუფის მოთხოვნა დოკუმენტაციაზე მოიცავდა სამაგისტრო კვლევის კომპონენტის დადასტურებას, წერილობითი ნაშრომის კომპონენტის ნიმუშის სტრუქტურას და სამაგისტრო ნაშრომების ნიმუშებს. მიუხედავად იმისა, რომ გარკვეული სამაგისტრო ნაშრომის ნიმუშები მოწოდებულ იქნა, ზოგიერთი მათგანი ვერ აკმაყოფილებდა მოსალოდნელ სტანდარტებს. გარდა ამისა, ზოგიერთმა მაგისტრმა არასწორად განაცხადა, რომ ნაშრომის წერილობითი კომპონენტის შესრულება არჩევითია (შეხვედრა 3.6), მაშინ როცა შეფასების სისტემა ანაწილებს ქულებს ნაშრომის თეორიულ/წერილობით ნაწილზე. ექსპერტთა ჯგუფის მიერ რეკომენდებულია, რომ ყველა შესაბამისი დოკუმენტაცია, მათ შორის სამაგისტრო კვლევის კომპონენტისა და წერილობითი ნაშრომის სტრუქტურის მკაფიო აღწერა, ეფექტურად იყოს მიწოდებული სტუდენტებისა და პერსონალისათვის.

- სამაგისტრო პროგრამის სილაბუსებში კურსზე დაშვების წინაპირობად მითითებულია უცხო ენა (B2 დონე). თუმცა, არის შეუსაბამოებები ზოგიერთ შემთხვევაში, როდესაც კონკრეტული ენა ან საჭირო ცოდნის დონე მკაფიოდ არ არის მითითებული. ამ სიცხადის ნაკლებობამ შეიძლება გამოიწვიოს დაბნეულობა აპლიკანტებს შორის. გარდა ამისა, სილაბუსებში, განსაკუთრებით რესტავრაციის ფაკულტეტზე, პრიორიტეტი ენიჭება რუსულენოვან ლიტერატურას, როგორც ძირითად წყაროს. სტუდენტები (შეხვედრა 2.5) თვლიან, რომ ეს გამართლებულია, რადგან დარგის ზაირითადი ლიტერატურა რუსულ ენაზეა და ისინი ფლობენ საჭირო ენობრივ უნარებს. თუმცა, საპირისპირო მოსაზრება წამოიჭრა სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების ხელმძღვანელებთან და მასწავლებლებთან შეხვედრების დროს (შეხვედრები 3.2 და 3.6), როდესაც მათ გამოთქვეს წუხილი სტუდენტების მიერ რუსული ენის არ ცოდნის გამო და დაგვთანხმდნენ, რომ სილაბუსში მხოლოდ ქართული და რუსული ლიტერატურის მიწოდება არასაკმარისია და აუცილებელია ინგლისური ლიტერატურის დამატება. გარდა ამისა, რუსული ენის ცოდნა არ არის პროგრამაზე დაშვების წინაპირობების ჩამონათვალში. ამ შეუსაბამოებებმა შეიძლება არახელსაყრელი მდგომარეობაში ჩააყენოს სტუდენტები, რომლებიც არ ფლობენ რუსულ ენას და შეუზღუდოს მათ ძირითად აკადემიურ რესურსებზე ხელმისაწვდომობა. აქედან გამომდინარე, ექსპერტთა ჯგუფი რეკომენდაციას უწევს სამაგისტრო პროგრამებზე მისაღებად ენის მკაფიო და თანმიმდევრული წინაპირობების დადგენას, როგორც საჭირო ენის, ასევე ცოდნის მოსალოდნელი დონის მითითებით. გარდა ამისა, რჩევას, რომ აკადემიამ განიხილოს ძირითადი ლიტერატურის მოთხოვნები თითოეული პროგრამისათვის, სანდო ინგლისურენოვანი რესურსების ხელმისაწვდომობის გათვალისწინებით.
- ექსპერტთა ჯგუფი იძლევა რჩევას, რომ კურსის დოკუმენტებისა და სილაბუსების ინგლისურ ენაზე თარგმნისას თავიდან უნდა იქნას აცილებული პირადი ნაცვალსახელების გამოყენება.

მტკიცებულება/ინდიკატორები

ადგილზე ვიზიტი და ინტერვიუები თვითშეფასების ანგარიში დანართი 3.1.1. პროგრამა და სილაბუსები დანართი 3.2.2. დარგობრივი მახასიათებლების განაცხადები დანართი 3.2.3 ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების მეთოდოლოგია
რეკომენდაციები: - რეკომენდებულია, რომ ყველა შესაბამისი დოკუმენტაცია, მათ შორის სამაგისტრო კვლევის კომპონენტის მკაფიო აღწერა და წერილობითი ნაშრომის სტრუქტურა, ხელმისაწვდომი იყოს და ეფექტურად მიეწოდოს სტუდენტებსა და პერსონალს. - რეკომენდებულია სამაგისტრო პროგრამებზე მისაღები ენის მკაფიო და თანმიმდევრული წინაპირობების დადგენა, როგორც საჭირო ენის, ასევე მისი ცოდნის მოსალოდნელი დონის მითითებით.
რჩევები: - სასურველია კურსის დოკუმენტებისა და სილაბუსების ინგლისურ ენაზე თარგმნისას თავიდან იქნას აცილებული პირადი ნაცვალსახელების გამოყენება. - სასურველია აკადემიამ განიხილოს თითოეული პროგრამისათვის ძირითადი ლიტერატურის მოთხოვნები, სანდო ინგლისურენოვანი რესურსების ხელმისაწვდომობის გათვალისწინებით.
საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში): არ ეხება
შეფასება მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☐ შეესაბამება მოთხოვნებს ☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ შეესაბამება მოთხოვნებს.
3.3 სწავლის შედეგების შეფასება უსდ-ში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი, სწავლის შედეგების ადეკვატური, გამჭვირვალე და სამართლიანი შეფასების სისტემა, რომელიც ხელს უწყობს სტუდენტების აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებას.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი: ბაკალავრიატში გამოყენებული შეფასების ფორმატების მაგალითებია: ტესტი; ზეპირი გამოცდა; გამოკითხვა; გამოცდა; ნაშრომი; პრეზენტაცია კლასში; პრაქტიკის პრეზენტაცია; პრაქტიკული დავალების შესრულება; გამოფენა. მაგისტრატურაში გამოყენებული

შეფასების ფორმატების მაგალითებია: ტესტი; ზეპირი გამოცდა; გამოკითხვა; გამოცდა; ნაშრომი; შემოქმედებითი ძიება; პრეზენტაცია კლასში; პრაქტიკის პრეზენტაცია; პრაქტიკული დავალების შესრულება; გამოფენა. დოქტორანტურაში გამოყენებული შეფასების ფორმატების მაგალითებია: გამოცდა; პრეზენტაცია; ესე; სასემინარო ნაშრომი; კვლევითი ნაშრომი; რეფერატი; კრიტიკული შეფასება; ლექციის წაკითხვა და დისერტაცია. ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ ზემოაღნიშნული შეფასების ფორმატები და მეთოდები, რომლებიც ითვალისწინებენ ხელოვნების, დიზაინისა და არქიტექტურის სპეციფიკას, საშუალებას აძლევს მასწავლებლებს დაადგინონ სწავლის შედეგების მიღწევა. თუმცა, ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ ფერწერის სილაბუსში ოფიციალურად გამოყოფილი ოთხი წუთი არასაკმარისია თითოეული სტუდენტის სწორად შესაფასებლად (შეხვედრა 3.2) და მიზანშეწონილად თვლის, რომ დროის განრიგი იყოს რეალისტური და თუ ამისათვის ზეგანაკვეთური სამუშაოა საჭირო, ეს უნდა ჩაიწეროს (იხ. სტანდარტი 4).

ექსპერტთა ჯგუფი კმაყოფილია იმით, რომ გუნდური მუშაობის შეფასების პროცესი არსებობს პროგრამის ფარგლებში და სამართლიანია (შეხვედრა 3.5).

სტუდენტებმა დაადასტურეს, რომ როგორც ეს თვითშეფასების ანგარიშშია მითითებული (გვ. 36), სასწავლო კურსის დასაწყისში მათ აქვთ სრული ინფორმაცია შეფასების სისტემისა და შეფასების კრიტერიუმების შესახებ. ექსპერტთა ჯგუფმა გამოავლინა, რომ ერთ-ერთი ფაკულტეტის სილაბუსებში სწავლის შესაფასებლად გამოყენებული შეფასების რამდენიმე კრიტერიუმის ფორმულირება დამაბნეველია სტუდენტებისათვის. მაგალითად, სილაბუსში „თანამედროვე ფოტოგრაფია და გრაფიკული დიზაინი მულტიმედია სივრცეში“, 2 ქულისათვის - „სტუდენტმა არ იცის ინფორმაციის მოძიება და გამოყენების საშუალებები, არ შეუძლია წყაროების გამოყენება“. მაშინ როცა, 1 ქულისათვის - „სტუდენტი აჩვენებს ინფორმაციის წყაროების გამოყენების მინიმალურ უნარს“. ეს არასწორი გზაა. ზოგიერთი კურსში მოცემულია 0 ქულა, ზოგიერთში კი არა. იქ სადაც შეფასების კრიტერიუმები დეტალურად არის აღწერილი, გასაგებია, თუ როგორ აცნობენ ისინი სტუდენტებს მიღწეულ მიზნებს, ხარვეზებს და გაუმჯობესების გზებს, მაგრამ ტერმინები „სუსტი“ ან „სჭირდება გაუმჯობესება“ შეიძლება უფრო ნათლად იყოს განმარტებული შეფასების მოკლე კრიტერიუმებით.

ექსპერტთა ჯგუფი მხარს უჭერს იმას, რომ კლასტერული აკრედიტაციის შემდეგ შეფასების სისტემა გადავიდა 100 ქულიან სისტემაზე (თვითშეფასების ანგარიში, გვ. 36), რადგან ეს იძლევა მზარდი შეფასების უფრო დიდ შესაძლებლობას. მართალია, გამოკითხულ სტუდენტები საკმაოდ დიდი ხნის განმავლობაში ექვემდებარებოდნენ 100 ქულიანი სისტემით შეფასებას და იმყოფებოდნენ 100 ქულიანი სისტემის ფარგლებში, ექსპერტთა ჯგუფმა აღმოაჩინა გარკვეული შეუსაბამოებები შეფასების დასახელების სისტემაში. შეფასების სისტემაში ფორმულირება იყო არათანმიმდევრული: ინგლისურში ზოგიერთი პედაგოგი იყენებდა „OK“-ს 71%-80%-სათვის, ხოლო სხვები იყენებდნენ "კარგს" 71%-80%-ისთვის. ეს მისცემდა სტუდენტებს მათი მიღწევების განსხვავებულ გაგებას. 51%-60%-ისათვის გამოიყენება შემდეგი სიტყვები - „საკმარისად“; „საკმარისი“; „სამართლიანი“; „დამაკმაყოფილებელი“ (პროგრამა და სილაბუსები).

ექსპერტთა ჯგუფი რეკომენდაციას უწევს შეფასების კრიტერიუმების საფუძვლიან შემოწმებას პროგრამებში როგორც ცალკეულ ფაკულტეტზე, ასევე ხუთივე ფაკულტეტზე, მათ შორის შეფასების ცხრილის საერთო დასახელების სისტემის შემოღებას, როგორც ინგლისურ, ასევე ქართულ ენაზე, განსაკუთრებით იმის გათვალისწინებით, რომ აკადემია

მიზნად ისახავს გაზარდოს საერთაშორისო პროგრამების რაოდენობა და უზრუნველყოს მათი შესაბამისობა საქართველოს სამართლებრივ აქტებთან.
მტკიცებულება/ინდიკატორები ადგილზე ვიზიტი და ინტერვიუები თვითშეფასების ანგარიში დანართი 3.1.1. პროგრამა და სილაბუსები დანართი 3.3 1. აკადემიური პროცესის მარეგულირებელი წესი; დანართი 3.3.2. თსსა აკადემიური კალენდარი
რეკომენდაციები: რეკომენდებულია განხორციელდეს პროგრამების შეფასების კრიტერიუმების საფუძვლიანი შემოწმება როგორც ცალკეულ ფაკულტეტზე, ასევე ხუთივე ფაკულტეტზე, შეფასების ცხრილის საერთო დასახელების სისტემის გათვალისწინებით, როგორც ინგლისურ, ასევე ქართულ ენაზე. ასევე, უზრუნველყოს მათი შესაბამისობა საქართველოს სამართლებრივ აქტებთან. გარდა ამისა, საჭიროების შემთხვევაში, სავალდებულო უნდა გახდეს პერსონალის ტრენინგი შეფასების კრიტერიუმების წერასა და შეფასებაში.
რჩევები: არ არის მითითებული
საუკეთესო პრაქტიკა (-ები) (ასეთის არსებობის შემთხვევაში): არ ეხება
შეფასება ☐ შეესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ○ ☐ არ შეესაბამება მოთხოვნებს.

4.უსდ-ის პერსონალი

უსდ უზრუნველყოფს, რომ დაწესებულებაში დასაქმებული პერსონალი (აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული, ადმინისტრაციული, დამხმარე) იყოს მაღალკვალიფიციური, რათა მათ შეეძლოთ საგანმანათლებლო, სამეცნიერო და ადმინისტრაციული პროცესის ეფექტურად წარმართვა და დაწესებულების სტრატეგიული გეგმით განსაზღვრული შედეგების მიღწევა. თავის მხრივ, ადმინისტრაცია მუდმივად ზრუნავს თავისი პერსონალის პროფესიულ განვითარებასა და სამუშაო პირობების გაუმჯობესებაზე.

4.1. პერსონალის მართვა უსდ-ს განსაზღვრული აქვს პერსონალის მართვის პოლიტიკა და პროცედურები, რაც უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროცესის და სტრატეგიული გეგმით განსაზღვრული სხვა აქტივობების განხორციელებას.
--

○ უსდ აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული/ადმინისტრაციული/დამხმარე პოზიციებზე სათანადო კვალიფიკაციის მქონე კადრების დასაქმებას.	უზრუნველყოფს პერსონალის
--	----------------------------

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

თავისი პერსონალის მიმართ აკადემიამ ჩამოაყალიბა ღია და გამჭვირვალე მართვის პოლიტიკა. ამ კუთხით საკვანძო დოკუმენტია „პერსონალის მართვის პოლიტიკა“, რომელიც სხვა საკითხებთან ერთად ეხება ისეთ გადამწყვეტ საკითხებს, როგორიცაა პერსონალის მოზიდვის მექანიზმები, პერსონალის შერჩევა, ადაპტაციის ხელშეწყობა და პროფესიული განვითარება (იხ. დანართი N4.1.7). თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ დოკუმენტი ზოგიერთ სფეროში ზოგადია და/ან არ მოიცავს პერსონალის მხარდაჭერის ყოვლისმომცველ მექანიზმებს. მაგალითად, მიუხედავად იმისა, რომ ადაპტაციის პროცესი ასახულია და განსაზღვრავს გარკვეულ აქტივობებს, რომლებიც ძირითადად უნდა შესრულდეს ადამიანური რესურსების სამსახურის მიერ, ისინი არის არასაკმარისი. ამ დასკვნას ამყარებს როგორც დოკუმენტის არსებითი და შედარებითი ანალიზი, ასევე ინტერვიუების შედეგები (1.5; 3.5). კერძოდ, თანამშრომლების სამუშაო პროცესში ინტეგრირებისათვის აკადემია ახორციელებს მინიმალურ საორიენტაციო აქტივობებს და უზრუნველყოფს საჭირო მატერიალურ-ტექნიკურ რესურსებს. თუმცა, დროთა განმავლობაში არ არსებობს ეფექტური მონიტორინგი და შეფასება. გარდა ამისა, პროცესი არის ერთჯერადი და არა უწყვეტი.

პერსონალის მართვის პოლიტიკა მოიცავს თანამშრომლების წახალისების მექანიზმებს. თუმცა, თვითშეფასების ანგარიში (გვ. 48), ინტერვიუები და ანგარიში „თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის შრომითი კმაყოფილებისა და თვითშეფასების კვლევა“ (დანართი 4.1.13) მოწმობენ, რომ აკადემია ხშირად არ იყენებს წახალისების ამ ფორმა. გარდა ამისა, აღსანიშნავია, რომ აკადემიის ბიუჯეტში (მაგ., 2024 წლისთვის) არ არის გათვალისწინებული პრემიები, დანამატები ან კომპენსაციები.

გარდა ზემოაღნიშნული პუნქტებისა, კვლევის ანგარიში (დანართი 4.1.13) და ინტერვიუები ადასტურებს, რომ დასაქმებულთა მნიშვნელოვანი ნაწილი მიიჩნევს, რომ არ იღებს ადეკვატურ ანაზღაურებას სამუშაოსათვის ან არა აქვს წინსვლის კარგი შესაძლებლობები (იხ. კვლევის ანგარიში, დიაგრამა N2). განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ არც აკადემიის პერსონალის მართვის პოლიტიკა და არც სხვა მარეგულირებელი დოკუმენტები არ აკონკრეტებენ თანამშრომელთა დაწინაურების (კარიერული გზა) ან კომპენსაციის გაუმჯობესების პირობებს. შესაბამისად, თანამშრომლებისათვის გაუგებარია, რა პირობებში შეიძლება მიაღწიონ პროფესიულ წინსვლას. აღსანიშნავია, რომ თვითშეფასების ანგარიშში აკადემია სამართლიანად ხაზს უსვამს წამახალისებელი სისტემის დანერგვის გზით თანამშრომელთა მოტივაციის ამაღლების აუცილებლობას (გვ. 54).

აკადემიას აქვს აკადემიური და მოწვეული პერსონალის დაგეგმვის მეთოდოლოგია, რომელიც ადგენს პირობებს და ფაქტორებს საგანმანათლებლო პროგრამებისთვის საჭირო აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსასაზღვრად. თუმცა, პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის სამიზნე ნიშნულები მკაფიოდ არ არის განსაზღვრული და დიდწილად რჩება პროგრამის ხელმძღვანელის შეხედულებაზე, რომელიც ადგენს ამ პირობებს საგანმანათლებლო პროგრამის სპეციფიკური მოთხოვნების საფუძველზე. ამ კონტექსტში მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ აკადემიაში მოწვეული

პერსონალის რაოდენობა ორ-სამჯერ აღემატება აკადემიური პერსონალის რაოდენობას. ეს უთანასწორობა განპირობებულია სხვადასხვა ფაქტორით, მათ შორის არსებული საგანმანათლებლო პროგრამების დისციპლინური სპეციფიკითა და ფინანსური მოტივებით. თუმცა, აკადემიის საგანმანათლებლო პროგრამების მდგრადობისა და გაძლიერების უზრუნველსაყოფად და ეფექტური სტრატეგიული დაგეგმვის განსახორციელებლად, ხელსაყრელია აკადემიური პერსონალის რაოდენობის გაზრდა. ეს კომპონენტი აშკარად უკავშირდება პერსონალის ზეგანაკვეთური სამუშაოს საკითხს, რომელიც დეტალურად იქნება განხილული მომდევნო ქვესტანდარტში.

აკადემიაში ვაკანსიები საჯაროდ ცხადდება და ქვეყნდება ღია წვდომის პლატფორმებზე. ინტერვიუებმა დაადასტურა, რომ კანდიდატურის შერჩევა ხდება მაღალ კონკურენტულ გარემოში. თანამშრომელთა საკვალიფიკაციო მოთხოვნები აკადემიამ განსაზღვრა სამუშაოს აღწერილობის, ფუნქციებისა და მოქმედი დებულებების საფუძველზე (იხ. დანართი N4.1.14).

აკადემიამ დაადგინა თანამშრომელთა საქმიანობის შეფასების პროცედურა (იხ. დანართი N4.1.9) და ამ მიზნით ატარებს ინტერვიუებს თანამშრომლებთან. როგორც შეხვედრებმა დაადასტურეს, ზოგიერთ შემთხვევაში, შედეგების მიხედვით დაიგეგმა პროფესიული განვითარების სხვადასხვა აქტივობა (მაგ., ენის მოსამზადებელი კურსები და ა.შ.). აკადემიამ შეიმუშავა და დანერგა „ინტერვიუს ფორმის უკუკავშირი“, რომელიც ემსახურება გზამკვლევად ორგანიზაციული ეფექტურობის გაზრდისა და თანამშრომლებისთვის უწყვეტი განვითარების შესაძლებლობის უზრუნველყოფას (იხ. დანართი 4.1.12).

ამჟამად უსდ-ში დასაქმებულია 112 აკადემიური და 241 მოწვეული პერსონალი. აღსანიშნავია, რომ აკადემიური პერსონალის 70% (იხ. დანართი N4.1.1.1ა, გვ. 1) არის 55 წლის და უფრო მეტი ასაკის. ეს არის მნიშვნელოვანი მაჩვენებელი, რომელიც ხაზს უსვამს ახალგაზრდა კადრების მოზიდვისა და შენარჩუნების არაადეკვატურ მხარდაჭერას. მსგავსი ვითარება შეინიშნება კვლევის სექტორშიც. ამ ფონზე აკადემია არ იყენებს კანონით გათვალისწინებულ მნიშვნელოვან მექანიზმებს, როგორიცაა პოსტდოქტორანტების და აკადემიური ასისტენტების როლები. აკადემიას არ ჰყავს არც პოსტდოქტორანტ მკვლევარები და არც ასისტენტები. აღსანიშნავია, რომ აკადემიამ ამ მიმართულებით გარკვეულ დადებით შედეგებს მიაღწია და ცდილობს მიიღოს ახალგაზრდა კადრების ჩართვის ზომები. ამ პროგრესის თვალსაჩინო მაგალითია ახალგაზრდა ქალი პროფესორების შემთხვევა და სხვ.

აკადემიას აქვს აფილირების პოლიტიკა (იხ. დანართი 4.1.3) და აკადემიის 112-ვე აკადემიური პერსონალი აფილირებულია აკადემიასთან (თვითშეფასება, გვ. 46).

როგორც დასკვნაშია აღნიშნული, აკადემია მოწოდებულია პერსონალის პროფესიული განვითარებისკენ და მისი პოლიტიკა საკმაოდ კარგად არის გაცხადებული. თუმცა, მნიშვნელოვანია ხაზგასმით აღინიშნოს, რომ მხოლოდ სასწავლო კურსებზე, სამუშაო შეხვედრებზე, დისკუსიებზე და ა.შ. დაყრდნობა სრულად არ მოიცავს პროფესიული განვითარების სპექტრს. გადამწყვეტია ინტერნაციონალიზაციასთან დაკავშირებული აქტივობების განხორციელება, სამუშაო დავალებები, ერთობლივი კონფერენციები და სხვა. ამ მხრივ, მსგავსი საქმიანობისთვის საბიუჯეტო მხარდაჭერა საკმაოდ მოკრძალებულია. მაგალითად, სამივლინებო ხარჯების ბიუჯეტი (როგორც შიდა, ასევე საერთაშორისო)

მთელი აკადემიისათვის შემოიფარგლება მხოლოდ 5000 ლარით (იხ. დანართი 7.4.2). ეს ფინანსური შეზღუდვა აფერხებს ინსტიტუციური კავშირების განმტკიცებას, საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის გაზიარებას, საერთაშორისო კადრების მოწვევას და ერთობლივი საგანმანათლებლო და კვლევითი აქტივობების განხორციელებას, რაც საბოლოო ჯამში გავლენას ახდენს პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე.

პერსონალისათვის თვითშეფასების ფორმებში აკადემიამ განსაზღვრა სამიზნე ინდიკატორები. თუმცა, ინტერვიუების დროს არ იყო ბოლომდე დასაბუთებული ამ სამიზნე ნიშნულების განსაზღვრის შინაარსობრივი ინდიკატორები და კონკრეტულ დროში მათი მიღწევის სხვადასხვა პერსპექტივა (მათ შორის ფინანსური ასპექტები).

მტკიცებულება/ინდიკატორები

ადგილზე ვიზიტი და ინტერვიუები

თვითშეფასების ანგარიში;

დანართი 4.1.1. - თსსა-ს წესდება;

დანართი 4.1.1(ა) - აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის განაწილება ასაკისა და სქესის მიხედვით;

დანართი 4.1.2.- „თსსა-ში ვაკანტურ აკადემიურ თანამდებობაზე კონკურსის ჩატარების წესი“

დანართი 4.1.3. - აფილირების წესი;

დანართი 4.1.4. - ვიზუალური კომუნიკაციისა და მედიახელოვნების ინსტიტუტის წესდება;

დანართი 4.1.5. - კონსერვაციის ცენტრის დებულება;

დანართი 4.1.6. - "თსსა-ს დამხმარე და შტატგარეშე პერსონალის დაქირავების წესები"

დანართი 4.1.7. - პერსონალის მართვის პოლიტიკა

დანართი 4.1.8. - დასაქმებულის სახელმძღვანელო დოკუმენტი;

დანართი 4.1.9. - "თანამშრომლების მიერ შესრულებული სამუშაოს შეფასების წესები"

დანართი 4.1.10. - თანამშრომელთა შეფასების ფორმა;

დანართი 4.1.11.- ხელმძღვანელის შეფასების ფორმა;

დანართი 4.1.12. - გამოხმაურების ინტერვიუს ფორმა;

დანართი 4.1.13. - კვლევის ანგარიში;

დანართი 4.1.14. - სამუშაო მოთხოვნები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები;

დანართი 4.1.15. - პერსონალის პირადი საქმეები;

დანართი 4.1.16. შრომითი კონტრაქტების ნიმუშები;

დანართი 4.1.17. აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობის დადგენის მეთოდოლოგია

რეკომენდაციები:

- აკადემიური და კვლევითი პერსონალის საშუალო ასაკის გათვალისწინებით, რეკომენდირებულია აკადემიამ შეიმუშავოს ეფექტური სისტემა საგანმანათლებლო და კვლევით პროცესებში ახალგაზრდა კადრების მოზიდვის, ჩართვისა და შენარჩუნებისათვის; სხვა აუცილებელი აქტივობების გარდა, აკადემიისთვის მნიშვნელოვანია შექმნას პოსტდოქტორანტების და ასისტენტების დაქირავებისა და სასწავლო და კვლევით საქმიანობაში მათი ინტეგრაციის მხარდაჭერის ეფექტიანი მექანიზმები.

რჩევები:

- სასურველია შეიქმნას და დაინერგოს თანამშრომელთა ადაპტაციის ეფექტური სისტემები, რათა უზრუნველყოფილ იქნას ახალი პერსონალის შეუფერხებელი ინტეგრაციის პროცესი; სასურველია, ჩამოყალიბდეს მკაფიო ხედვა აკადემიაში აკადემიური, მოწვეული და ადმინისტრაციული/დამხმარე პერსონალის თანაფარდობის შესახებ და ამ ხედვის ინტეგრირება სამომავლო დაგეგმვის აქტივობებში; სასურველია, პერსონალის დაგეგმვისთვის განისაზღვროს გაზომვადი, ობიექტური, დასაბუთებული და მიღწევადი სამიზნე ინდიკატორები, ყველა საჭირო პერსპექტივის გათვალისწინებით; სასურველია, თანამშრომელთა სამუშაო პროცესების დიგიტალიზაციის გაზრდა და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის გაუმჯობესება არაეფექტური სამუშაო დატვირთვის შესამცირებლად; სასურველია, არაფინანსური წახალისებისა და დაწინაურების მექანიზმების შემოღება და წახალისებისა და პროფესიული განვითარებისთვის საბიუჯეტო მხარდაჭერის გაძლიერება; სასურველია, პერსონალის ინტერნაციონალიზაციის ხელშემწყობი მექანიზმების გაფართოება და გაღრმავება გლობალური ჩართულობისა და თანამშრომლობის გასაძლიერებლად.

საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

არ ეხება

შეფასება

☐ შეესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ შეესაბამება მოთხოვნებს.

4.2. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის სამუშაო დატვირთვა

უსდ-ის აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა დაწესებულებაში განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობისა და მათზე დაკისრებული სხვა ფუნქციების ადეკვატურია.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

აკადემიას აქვს ყოველწლიური დატვირთვის ბადე აკადემიური და კვლევითი პერსონალისთვის, რომელიც მოიცავს სავალდებულო საკონტაქტო საათებს, კვლევით აქტივობებს, მხატვრულ-შემოქმედებით მუშაობას და სხვა დატვირთვის ლიმიტებს (იხ. დანართები 4.2.3 და 4.2.4). ინტერვიუებმა დაადასტურა, რომ თანამშრომლებისთვის კარგად არის ცნობილი აკადემიური და კვლევითი დატვირთვის პირობები.

სამუშაო დატვირთვის ბადე დიფერენცირებულია პოზიციისა და კატეგორიის მიხედვით და დიდწილად ადეკვატურია. თუმცა არის შემთხვევები, როდესაც აკადემიური პერსონალის წლიური დატვირთვა საკმაოდ მაღალია. მაგალითად, A კატეგორიის ასოცირებული პროფესორის სამუშაო დატვირთვის წლიური ბადე მოიცავს ცალკეულ აქტივობას, როგორიცაა სავალდებულო საკონტაქტო საათები (450-540 საათი) (იხ. დანართი 4.2.3, გვ. 4), რაც უდრის დაახლოებით 15-18 საათს კვირაში. ეს არ მოიცავს დამატებით დროს კვლევითი საქმიანობისათვის (350-340 საათი) და სხვა მოვალეობებს. მნიშვნელოვანია, რომ როგორც

ინტერვიუებმა, ასევე კვლევის ანგარიშმა (გვ. 19) დაადასტურა, რომ პერსონალის მნიშვნელოვანი ნაწილი (აკადემიური, მოწვეული, კვლევითი და დამხმარე) ასრულებს ზეგანაკვეთურ სამუშაოს. არ არის ნათელია ეს ზეგანაკვეთური სამუშაო აღირიცხება, ნაზღაურდება, რეგულირდება თუ არა.

კვლევითი პერსონალის დატვირთვის ბადასევე განსხვავდება პოზიციისა და კატეგორიის მიხედვით. მაგალითად, A კატეგორიის მკვლევარის წლიური დატვირთვა შეადგენს 1500 საათს, რაც საკმაოდ მაღალია. თუმცა, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ეს ჯამი მოიცავს სხვადასხვა კომპონენტს, მათ შორის 240 საათს ლექციებისა და სემინარების ჩასატარებლად. ამ კონტექსტში წამოიჭრა ორი მნიშვნელოვანი საკითხი: აკადემიური საქმიანობის აუცილებლობა: კვლევითი პერსონალისადმი მოთხოვნა აკადემიურ საქმიანობაში ჩართვისათვის არის მათი აკადემიური დატვირთვის განუყოფელი ნაწილი. კვლევითი აქტივობების საათობრივი გაზომვა: კვლევითი აქტივობების საათების მიხედვით გაზომვა წარმოადგენს გამოწვევას. ერთის მხრივ, რთულია ამ აქტივობების ზუსტი იდენტიფიცირება და რაოდენობრივი დადგენა, მეორე მხრივ კი იძლევა არასაკმარის მაჩვენებლებს კვლევითი საქმიანობის ხარისხისა და გავლენის შესაფასებლად.

მოწვეული პერსონალის დატვირთვა შედგება მხოლოდ სალექციო და სასემინარო საათებისაგან.

მტკიცებულება/ინდიკატორები

ადგილზე ვიზიტი და ინტერვიუები

თვითშეფასების ანგარიში;

დანართი 4.2.1 - აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის განაწილება ასაკისა და სქესის მიხედვით

დანართი 4.2.2. - თსსა აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია

დანართი 4.2.3. - აკადემიური პერსონალის წლიური დატვირთვის სქემა;

დანართი 4.2.4 სამეცნიერო პერსონალის წლიური დატვირთვის სქემა;

დანართი 4.2.5. - აკადემიური პერსონალის აფილირების წესი და პირობები

რეკომენდაციები:

რჩევები:

- სასურველია, სამეცნიერო პერსონალის დატვირთვის ბადის დახვეწა და კვლევით საქმიანობასთან დაკავშირებული გაზომვადი ინდიკატორების დანერგვა.
- სასურველია ზეგანაკვეთური სამუშაოს პრევენციის მექანიზმების შემუშავება: ზეგანაკვეთური სამუშაოს თავიდან ასაცილებლად რეკომენდებულია განხორციელდეს ღონისძიებები, მათ შორის პროცესების გაციფრულება, საჭირო ტექნიკური რესურსების ინტეგრირება და სამუშაო დატვირთვის ადეკვატური განაწილების უზრუნველყოფა; დაწესდეს ზეგანაკვეთური სამუშაოს აღრიცხვის ეფექტური მექანიზმები, გადაიჭრას ზეგანაკვეთთან

დაკავშირებული სისტემური საკითხები და დარეგულირდეს ზეგანაკვეთური სამუშაოს დასაშვები ინდივიდუალური შემთხვევების პირობები და წესები.
საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში): არ ეხება
შეფასება მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ შესაბამეა მოთხოვნებს.

5. სტუდენტები და მათი მხარდაჭერის ღონისძიებები

უსდ უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას და მათი უფლებების დაცვას; სთავაზობს სტუდენტებს შესაბამის სერვისებს, მათ შორის, დასაქმების ხელშეწყობის მექანიზმებს, უზრუნველყოფს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ამ ღონისძიებებში. სტუდენტთა მხარდამჭერი ღონისძიებების გასაუმჯობესებლად, უსდ ითვალისწინებს სტუდენტთა გამოკითხვის შედეგებს.

5.1. სტუდენტის სტატუსის მოპოვების, ცვლილებისა და განათლების აღიარების წესი და სტუდენტთა უფლებები

- უსდ-ს თითოეული საგანმანათლებლო საფეხურისათვის შემუშავებული აქვს სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, კვალიფიკაციის მინიჭების, საგანმანათლებლო დოკუმენტის გაცემის, ასევე სწავლის პერიოდში მიღებული განათლების აღიარების წესები.
- უსდ უზრუნველყოფს სტუდენტების უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვას.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

აკადემიას აქვს ყველა საჭირო დოკუმენტაცია, რომელიც მოითხოვება „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით და სხვა მარეგულირებელი თუ ნორმატიული დოკუმენტებით (თვითშეფასების ანგარიში, გვ. 45) და ისინი ხელმისაწვდომია მის ვებგვერდზე დოკუმენტში სახელწოდებით "სტუდენტური გზამკვლევი" (დანართი). 5.1.4a). თუმცა, სტუდენტებთან და სტუდენტური თვითმმართველობის წარმომადგენლებთან ინტერვიუს დროს (შეხვედრები 2.1, 2.4 და 2.5) გაირკვა, რომ ისინი ბოლომდე არ იცნობენ თავიანთი უფლებების შესახებ დოკუმენტაციის დეტალებს: მობილობის პროცედურებს, სტუდენტის სტატუსის შეჩერების, შეწყვეტის, გასაჩივრების პროცედურებს, მიუხედავად სტუდენტსა და თსსა-ს შორის ხელმოწერილი ხელშეკრულებისა (თვითშეფასების ანგარიში,

გვ. 45 და დანართი 5.1.3). ინტერვიუების საშუალებით ექსპერტთა ჯგუფმა გამოავლინა, რომ ხშირად კომუნიკაცია პერსონალსა და სტუდენტებს შორის ხდება არაფორმალურ საფუძველზე. მაგალითად, ერთმა სტუდენტმა განუცხადა ექსპერტთა ჯგუფს, რომ ის არ იყო კმაყოფილი მისი შეფასებით და რომ მას უთხრეს, რომ შეუძლია გაასაჩივროს შეფასება. ეს ერთის მხრივ ადასტურებს, რომ სტუდენტთა უფლებები დაცულია, მაგრამ მათი უფლებების შესახებ ინფორმაცია, როგორც ჩანს, ხელმისაწვდომია მხოლოდ საჭიროებიდან გამომდინარე. ექსპერტთა ჯგუფი რეკომენდაციას უწევს, რომ აკადემიამ სტუდენტთა გზამკვლევაში შეიტანოს უფრო მეტი დეტალი სტუდენტის უფლებების შესახებ იმის უზრუნველსაყოფად, რომ სტუდენტები კარგად იცნობდნენ მას და გამონახოს კომუნიკაციის უკეთესი მეთოდები, რათა შეავსოს ინფორმაციის უფრო არაფორმალური გაცვლა პერსონალსა და სტუდენტებს შორის.

ექსპერტთა ჯგუფმა გაიგო ბოლოდროინდელი შემთხვევის შესახებ, როდესაც სტუდენტის საჩივარი ცნობილი გახდა მთელი აკადემიისათვის და რეკომენდაცია გასცა, რომ ასეთი საკითხები დარჩეს კონფიდენციალური და ინტერესებული პირებისათვის და განიხილულ იქნას და გადაწყდეს ეთიკის კოდექსის შესაბამისად (შეხვედრა 4.1). ამიტომ რეკომენდებულია საჩივრების პროცედურის ჩართვა ეთიკის კოდექსში.

მტკიცებულება/ინდიკატორები

ადგილზე ვიზიტი და ინტერვიუები
თვითშეფასების ანგარიში.

ვებგვერდი

მარეგულირებელი დოკუმენტები.

დანართი 5.1.3

დანართი 5.1.4

დანართი 5.2.6

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია აკადემიამ სტუდენტის გზამკვლევაში შეიტანოს ინფორმაცია სტუდენტთა უფლებების შესახებ, რათა უზრუნველყოს სტუდენტების გაცნობიერება ამ საკითხებში, და მოძებნოს კომუნიკაციის უკეთესი მეთოდები, რაც შეავსებს პერსონალსა და სტუდენტებს შორის არსებულ უფრო არაფორმალურ ურთიერთობებს.
- რეკომენდებულია ეთიკის კოდექსში საჩივრების განხილვის პროცედურის ჩართვა.

რჩევები:

არ არის მითითებული

საუკეთესო პრაქტიკა (-ები) (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

არ ეხება

შეფასება

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ შესაბამეობა მოთხოვნებს.

5.2 სტუდენტთა მხარდაჭერის ღონისძიებები

- სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად უსდ-ში მოქმედებს საკონსულტაციო მომსახურება.
- უსდ-ში ფუნქციონირებს კარიერული მხარდაჭერის სერვისი, სადაც სტუდენტები იღებენ შესაბამის კონსულტაციას და მხარდაჭერას დასაქმებასა და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით.
- უსდ უზრუნველყოფს სტუდენტების ინფორმირებასა და ჩართულობას აკადემიის, ადგილობრივ და საერთაშორისო პროექტებსა და ღონისძიებებში, ასევე მხარს უჭერს სტუდენტურ ინიციატივებს.
- უსდ-ში მოქმედებს დაბალი სოციალურ-ეკონომიკური სტატუსის მქონე სტუდენტების მხარდაჭერის მექანიზმები.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ინტერვიუების შედეგად ექსპერტთა ჯგუფი ადასტურებს, რომ სასწავლო წლის დასაწყისში ლექტორები სტუდენტებს აცნობენ სილაბუსებს, შეფასების სისტემას და შეფასების კრიტერიუმებს (შეხვედრები 2.4, 2.5, 3.5 და 3.6). მათ ასევე შეუძლიათ მოიძიონ ეს ინფორმაცია სტუდენტურ პორტალზე, ასევე იხილონ გამოცდების თარიღები და შედეგები. სტუდენტებს საშუალება აქვთ ყოველი სემესტრის ბოლოს, ერთჯერადად შეაფასონ საგნები და ლექტორები კითხვარის მეშვეობით და გაუზიარონ თავიანთი გამოხმაურება და რჩევები (შეხვედრები 2.4, 2.5 და 4.2). სტუდენტებს შეუძლიათ გამოიყენონ საკონსულტაციო საათებიც, როდესაც მათ სჭირდებათ ლექტორების მხარდაჭერა ან რჩევა. თუმცა, სტუდენტებმა ასევე ხაზი გაუსვეს იმას, რომ უკეთესი იქნებოდა უფრო მეტი ინფორმაციული შეხვედრები, რათა მეტი დეტალები სცოდნოდათ სტუდენტთა მხარდაჭერის სერვისების სპექტრის შესახებ.

კონფერენციებისა და პროექტების შესახებ სტუდენტებს ინფორმაციას აწვდიან ლექტორები და ეს ინფორმაცია ასევე გაზიარებულია აკადემიის ვებგვერდებზე. სტუდენტებს შეუძლიათ მიმართონ თავიანთ ფაკულტეტს საქართველოში კონფერენციებზე დასასწრებად მხარდაჭერისთვის, ხოლო საერთაშორისო კონფერენციებზე დასასწრებად - სამეცნიერო დეპარტამენტს შიდა კონკურსის შედეგად (შეხვედრა 3.1). ერთ-ერთმა კურსდამთავრებულმა დაადასტურა, რომ ისინი უზრუნველყვეს სიმპოზიუმზე დასასწრებად ლატვიაში და კვლევით ღონისძიებაზე ბერგამოში, იტალია (იხ. ასევე მე-6 სტანდარტი). ისინი იღებენ ინფორმაციას სამუშაო ადგილების შესახებ უშუალოდ ლექტორებისგან ან ვებგვერდების საშუალებით (აქტიური ვაკანსიები HR.GE-ზე). კურსდამთავრებულებს ასევე აქვთ მჭიდრო ურთიერთობა აკადემიასთან და იღებენ შესაბამის მხარდაჭერას და ინფორმაციას დასაქმებასთან დაკავშირებით. ისინი აცხადებენ, რომ ზოგჯერ ახორციელებენ პირისპირ შეხვედრებს კარიერული რჩევების მისაღებად (შეხვედრა 3.3). 2018-23 წლებში კარიერულ ღონისძიებებთან, დასაქმების მიმართულებებთან და სტაჟირებასთან დაკავშირებული რაოდენობრივი მონაცემები ადასტურებს აკადემიის ფოკუსირებას კარიერულ მხარდაჭერასა და განვითარებაზე, გარდა ამისა, ეს მჭიდროდ უკავშირდება საქსტატის მონაცემებს (თვითშეფასების ანგარიში, გვ. 48-50 და 5.2.2, 5.2.3). მაგალითად, ექსპერტთა ჯგუფმა შეიტყო, რომ არქიტექტურის ბაკალავრიატის ყველა სტუდენტი გადის სტაჟირებას, რომელსაც კურიერებს პროგრამის

ერთ-ერთი მასწავლებელი. გაირკვა, რომ ბევრი სტუდენტი გადის სტაჟირებას ერთი და იგივე არქიტექტურულ პრაქტიკის ობიექტში და შეთანხმდნენ, რომ მეხუთე სემესტრის სტუდენტები მკაფიოდ უნდა იყვნენ ინფორმირებულნი, რომ მათ შეუძლიათ აირჩიონ სხვა პრაქტიკის ობიექტი, სადაც სურთ სტაჟირება (შეხვედრები 1.6 და 3.1). სტაჟირება ხორციელდება საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს სისტემაში მოქმედი სტაჟირების წესით (5.2.4).

ინფორმაცია მობილობის პროცედურებზე აკადემიის მიერ მიწოდებულია სტუდენტური გზამკვლევის მეშვეობით (გვ. 16), სადაც სტუდენტებს შეუძლიათ მოიძიონ ზოგადი ინფორმაცია შიდა და გარე მობილობის პროცედურების შესახებ. ასევე მითითებულია ვებგვერდები, სადაც სტუდენტებს შეუძლიათ მიიღონ უფრო დეტალური ინფორმაცია პროცედურების შესახებ. ექსპერტთა ჯგუფს ეცნობა, რომ კურსდამთავრებულმა სტუდენტებმა სრულად გამოიყენეს მობილობის შესაძლებლობები, ერთმა წელიწადი გაატარა საფრანგეთში, მეორემ - თურქეთში, და რომ ბაკალავრიატის კურსდამთავრებულს, ახლა ფერწერის მაგისტრანტს შეუძლია გაცვლით წასვლა ნიდერლანდებში ან საფრანგეთში. კურსდამთავრებულები აღიარებენ საერთაშორისო გაცვლის მნიშვნელობას (შეხვედრა 3.3).

საბაკალავრო, სამაგისტრო თუ სადოქტორო ნაშრომზე მუშაობისათვის მომზადებისას სტუდენტებს შეუძლიათ თავად აირჩიონ თემა და შეუთანხმონ ადმინისტრაციას, რასაც მოჰყვება ხელმძღვანელის შერჩევა არჩეული თემის შესაბამისად (იხ. ასევე ქვესტანდარტი 3.2). სტუდენტებმა აღნიშნეს, რომ ნაშრომზე მუშაობისას მათ ჰქონდათ საკონსულტაციო საათებზე წვდომა ნებისმიერ დროს, როცა სჭირდებოდათ ლექტორების მხარდაჭერა. სტუდენტებთან ინტერვიუს დროს აღმოჩნდა, რომ სტუდენტები ბოლომდე არ იყვნენ ინფორმირებულები ციტირების ფორმატის შესახებ და ზოგიერთი სამაგისტრო ნაშრომის დათვალიერებისას ექსპერტთა ჯგუფმა დაინახა, რომ სტუდენტებს არ გამოუყენებიათ არცერთი ციტატა და მითითება თავიანთ კვლევაში და არ იცავდნენ აკადემიაში მოქმედ კვლევითი ნაშრომების სტრუქტურას (იხ. სტანდარტი 2). კვლევის უნარ-ჩვევებთან დაკავშირებით, სტუდენტებმა აღნიშნეს, რომ კვლევით ნაშრომზე მუშაობისას ისინი იღებენ ნაშრომზე ინფორმაციას ლექტორებისგან, ხოლო კვლევის მეთოდები მიეწოდებათ - აკადემიის სავალდებულო ან არჩევითი კურსების ფარგლებში (შეხვედრები 2.4, 2.5, 3.1 და 3.2). სტუდენტებს შეუძლიათ ისარგებლონ ბიბლიოთეკით და ასევე ელექტრონული ბიბლიოთეკითაც; მათ აქვთ აკადემიის სპეციფიკური პაროლები, რომელთა საშუალებით შეუძლიათ შესაბამისი მასალების მოძიება ელექტრონული ბიბლიოთეკის კატალოგში (art.edu.ge/catalog/home/index.php) (შეხვედრები 2.4 და 2.5).

სტუდენტური თვითმმართველობა გეგმავს აქტივობებს სტუდენტებისათვის. როდესაც სტუდენტებს უჩნდებათ იდეები ღონისძიებების შესახებ, ისინი განიხილავენ მათ სტუდენტურ თვითმმართველობასთან და წყვეტენ ღონისძიების შედარებით მნიშვნელობას, გეგმავენ დეტალებს და შემდეგ უზიარებენ თავიანთ იდეებს ადმინისტრაციას ბიუჯეტის შესათანხმებლად. სტუდენტურ თვითმმართველობას აქვს საკუთარი ჯგუფი სოციალურ მედიაში, სადაც თითოეულ სტუდენტს შეუძლია მოითხოვოს რჩევა ან გაუზიაროს თავისი იდეები. სტუდენტურ თვითმმართველობას არა აქვს კონკრეტული ბიუჯეტი, მაგრამ როდესაც მათ აქვთ პროექტები ისინი ფინანსდება აკადემიის მიერ (შეხვედრა 2.1). არსებობს მცირე ოდენობის დაფინანსება სპორტული ღონისძიებებისათვის (თვითმფასების ანგარიში, გვ. 50), მაგრამ აკადემიას არ გააჩნია სპორტული ობიექტები. იგი ხელშეკრულების საფუძველზე იყენებს სხვის ობიექტებს,

როდესაც დგება ამის საჭიროება (თვითშეფასების ანგარიში, გვ. 49). ექსპერტთა ჯგუფი გაოცებული იყო, როცა აღმოაჩინა, რომ სტუდენტური თვითმმართველობის ყველა წევრის არჩევა, გარდა ორისა, ხდება ყოველწლიურად და რომ ეს გამოწვევაა თვითმმართველობაში გამოცდილების უწყვეტობასთან დაკავშირებით (შეხვედრები 2.1 და 4.1). აკადემია სტუდენტებს სთავაზობს სწავლის საფასურის გადახდის მოქნილ სქემას და მას აქვს მხარდაჭერის მექანიზმი დაბალი სოციალურ-ეკონომიკური სტატუსის მქონე სტუდენტებისთვისაც (შეხვედრები 1.3, 2.1, 2.4 და 2.5). აკადემია ასევე სთავაზობს სტიპენდიებს იმ სტუდენტებს, რომელთა ქულები ყოველი სემესტრის შემდეგ 81-ზე მეტია (შეხვედრები 1.3, 2.1, 2.4 და 2.5 და SER გვ. 46), ხოლო დოქტორანტები არ იხდიან მათი სწავლისა და კვლევის საფასურს, რაც აკადემიის ორი დარგის სადოქტორო პროგრამების ფარგლებში ითვლება ცოდნისა და გამოცდილების განვითარების საუკეთესო პრაქტიკად. ზოგადად, სტუდენტების მხარდაჭერისადმი, ექსპერტთა ჯგუფმა შენიშნა ძლიერი საზოგადოებრივი სულისკვეთება მთელი აკადემიის მასშტაბით, და ეს აშკარად გამოჩნდა ტურის დროს (2.2) და იმით, თუ როგორ საუბრობდნენ სტუდენტები და კურსდამთავრებულები მათ ურთერთობაზე აკადემიურ, ადმინისტრაციულ პერსონალთან, თანამშრომლებთან და დეკანატების ლიაოზაზე.	მტკიცებულება/ინდიკატორები ადგილზე ვიზიტი და ინტერვიუები თვითშეფასების ანგარიში. სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები ვებ-საიტი დანართი 5.2.2 https://www.geostat.ge/ka საქსტატის მონაცემები დანართი 5.2.3 https://www.geostat.ge/ka საქსტატის მონაცემები დანართი 5.2.4 სტატისტიკის წესი საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს სისტემაში დანართი 5.2.5 სტუდენტების კარიერული განვითარების ხელშეწყობის მიზნით განხორციელებული ღონისძიებები 2019-2023 წწ. დანართი 5.2.6. აკადემიის ეთიკის კოდექსი
რეკომენდაციები: არ არის მითითებული	რჩევები: • მიზანშეწონილად მივიჩნევთ, რომ უფრო მეტი ინფორმაციული შეხვედრები უკეთ გააცნობდა სტუდენტებს მათი მხარდაჭერის სერვისების სპექტრს.
საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში): • დოქტორანტურა და კვლევა უფასოა • საზოგადოების სული აკადემიაში	

შეფასება

- ☒ შეესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ არ შეესაბამება მოთხოვნებს.

6. კვლევა, განვითარება და/ან სხვა შემოქმედებითი საქმიანობა

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, მისი ტიპისა და კონკრეტული დარგ(ებ)ის გათვალისწინებით, მუშაობს საკუთარი კვლევითი ფუნქციის გაძლიერებაზე, უზრუნველყოფს სათანადო პირობებს კვლევითი საქმიანობის მხარდასაჭერად და კვლევითი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად

6.1 კვლევითი საქმიანობა

- უსდ, თავისი ტიპისა და დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე, ახორციელებს კვლევით/შემოქმედებით საქმიანობას.
- სადოქტორო კვლევების ხელმძღვანელობის ეფექტურობის უზრუნველყოფა.
- უსდ-ს გააჩნია საჯარო, გამჭვირვალე და სამართლიანი პროცედურები დისერტაციების შეფასებისა და დაცვისთვის, რომლებიც შეესაბამება სფეროს სპეციფიკას.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

წარმოდგენილი დოკუმენტების (დანართები 6.1.1, 6.1.2 და 6.1.3) და ინტერვიუების საფუძველზე, ექსპერტთა ჯგუფი აღნიშნავს, რომ თსსა-მ განახორციელა, ამჟამად ახორციელებს და დაგეგმილი აქვს სხვადასხვა მნიშვნელოვანი სამეცნიერო და შემოქმედებითი პროექტი, რომელიც შეესაბამება მის პროფილს. ექსპერტთა ჯგუფის წევრები გაეცნენ კვლევისა და განვითარების დეპარტამენტის სტრატეგიული განვითარების ამსახველ დოკუმენტს და დაადგინეს, რომ ორგანიზაციას აქვს მკაფიო ხედვა კვლევითი/განმავითარებელი/კრეატიული საქმიანობის განხორციელებისთვის, რაც ასახულია სტრატეგიული განვითარების გეგმის 7 მიზანში და მათ შესაბამისი ამოცანებში. მიზნები ნათელი, მიღწევადია და შეესაბამება დაწესებულების სფეროს:

მიზანი 1. აკადემიაში სამეცნიერო საქმიანობის, სამეცნიერო და კვლევითი პოტენციალის განვითარების ხელშეწყობა;

მიზანი 2. ინსტიტუციურ განვითარებაზე ორიენტირებული კვლევითი პროექტების განხორციელება, დოქტორანტების, აკადემიური პერსონალისა და კვლევით ინსტიტუტებში დასაქმებული პირების საქმიანობის ხელშეწყობა და ცნობადობის ამაღლება ადგილობრივ და საერთაშორისო დონეზე;

მიზანი 3. აკადემიაში შემოქმედებითი და მხატვრული კვლევების პრინციპების დანერგვისა და ინტეგრაციის ხელშეწყობა;

მიზანი 4. ახალგაზრდა მეცნიერების მოზიდვა და მათი ჩართვა აკადემიის სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში;

მიზანი 5. სასწავლო პროცესის გამდიდრება სამეცნიერო და შემოქმედებითი კვლევის შედეგების სასწავლო პროცესში ინტეგრირებით;

მიზანი 6. მხატვრული და შემოქმედებითი კვლევის შედეგების კომერციალიზაციის შესაძლებლობების გაფართოება. მხატვრული და შემოქმედებითი კვლევებისა და პროცესების გაფართოება ინტერდისციპლინურ კონტექსტში: ჰუმანიტარული

მეცნიერებები, ტექნოლოგიური პრაქტიკა, შემოქმედებითი ეკონომიკა, შემოქმედებითი ინდუსტრიები;

მიზანი 7. დაწესებულების ინტერნაციონალიზაცია სამეცნიერო მიმართულებით.

დოკუმენტი შეიცავს ინდიკატორებს, თუმცა ისინი წააგავს კრიტერიუმებს და არ შეიძლება იქნას გაგებული, როგორც შეფასების ინდიკატორები. ექსპერტთა ჯგუფი აღნიშნავს, რომ დაწესებულების სამეცნიერო და მხატვრული/შემოქმედებითი საქმიანობის განვითარების მონიტორინგის პროცესის წარმართვის მიზნით აკადემიას არ აქვს გამოვლენილი თითოეული მიზნის ან ამოცანის რაიმე „გაზომვადი“ ასპექტი - შესრულების ძირითადი ინდიკატორი (KPI). მიზნები უნდა შეესაბამებოდეს აკადემიის განვითარების სტრატეგიულ გეგმებსა და ხედვას. ნაკლებად არის გამოვლენილი თსსა-ში სტრუქტურული ერთეულების სტრატეგიული განვითარების მიმართულებებს შორის კორელაცია. ექსპერტთა ჯგუფს მიაჩნია, რომ თსსა-მ უნდა იზრუნოს სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულის სტრატეგიული განვითარების გეგმების კორელაციაზე.

ადგილზე ვიზიტის დროს ცხადი გახდა, რომ აკადემია მხარს უჭერს სწავლების, კვლევისა და ეკონომიკის ინტეგრაციას. თვითშეფასების ანგარიშში წარმოდგენილი აქტივობების აღწერა სწავლების, კვლევისა და ეკონომიკის ინტეგრაციის თაობაზე დადასტურდა კვლევისა და განვითარების დეპარტამენტის, მაგისტრანტებისა და დოქტორანტების ხელმძღვანელებთან და აკადემიურ პერსონალთან შეხვედრისას (შეხვედრები 1.5 3.2 და 4.1). გამოიკვეთა, რომ ინტეგრაცია ხდება სხვადასხვა დონეზე: შემუშავდა ზოგიერთი სასწავლო კურსი და სილაბუსები ახალი სასწავლო მასალებით, ზოგიერთი სასწავლო პროგრამა განახლდა ახალი სასწავლო კომპონენტების ინტეგრირებით, ზოგ კურსში შეიცვალა სწავლების მეთოდოლოგია. ამდენად, დეტალური ინფორმაცია სწავლების, კვლევისა და ეკონომიკის ინტეგრაციის შესახებ (თვითშეფასების ანგარიში, გვ. 52-55) თვალსაჩინო გახდა ინტერვიუებისა და წარმოდგენილი დოკუმენტების გაცნობის შემდეგ. ამრიგად, კვლევის შედეგები ინტეგრირებულია დაწესებულების სასწავლო საქმიანობაში.

სამხატვრო აკადემია ახორციელებს კვლევით და შემოქმედებით საქმიანობას, რომელიც ხელს უწყობს სამეცნიერო და კულტურულ განვითარებას როგორც ეროვნულ, ისე რეგიონულ და საერთაშორისო დონეზე; ამას მოწმობს დოკუმენტი, რომელიც წარმოდგენილია კვლევისა და განვითარების დეპარტამენტის ანგარიშში და წარმოადგენს განხორციელებული და დაგეგმილი კვლევითი პროექტების აქტივობების ჩამონათვალს (დანართები 6.1.1, 6.1.2, 6.1.3, 6.1.4, 6.1.5).

აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის დატვირთვა მათ საშუალებას აძლევს ეფექტურად უხელმძღვანელონ სადოქტორო ნაშრომებს/სახელოვნებო-შემოქმედებით პროექტებს, მაღალი ხარისხის სამეცნიერო ნაშრომებსა და პროექტებს. დოქტორანტურის დებულება (6.1.11 და 6.1.12) განსაზღვრავს დოქტორანტთა მაქსიმალურ რაოდენობას ერთი ხელმძღვანელისათვის (3 დოქტორანტი), რაც ხელს უწყობს ხელმძღვანელთან სამუშაო შეხვედრებისა და კონსულტაციების სიხშირესა და ეფექტიანობას. აკადემიის ორივე ფაკულტეტზე (რესტავრაციის, ხელოვნების ისტორიისა და თეორიის ფაკულტეტი და მედიახელოვნების ფაკულტეტი) დებულების დაცვით დოქტორანტების სამეცნიერო ნაშრომების ეფექტიან ხელმძღვანელობას უზრუნველყოფს როგორც აკადემიური, ისე მოწვეული პერსონალი. თანახელმძღვანელობის ეს ფორმა საშუალებას აძლევს

დოქტორანტს ისარგებლოს დარგის მაღალკვალიფიციური სპეციალისტის ხელმძღვანელობით და განახორციელოს მის მიერ არჩეული კვლევითი თემა.

დებულება აღწერს დოქტორანტის ხელმძღვანელის უფლებებსა და მოვალეობებს, რაც ასევე ხელს უწყობს ხელმძღვანელობის პროცესის ხარისხის ამაღლებას. ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო დოქტორანტებს შორის ჩატარებული ანონიმური გამოკითხვის შედეგებს, რომელიც აჩვენებს მათ 100%-იან კმაყოფილებას ორგანიზაციული და საგანმანათლებლო პროცესების ეფექტურობით. ამავდროულად, დოქტორანტებთან გამართულ სესიაზე გაირკვა, რომ ისინი არასოდეს იღებენ მონაწილეობას გამოკითხვაში, რომელიც აფასებს დოქტორანტების ხელმძღვანელებს. რეკომენდირებულია აკადემიამ შექმნას კითხვარები და მიაწოდოს დოქტორანტებს ხელმძღვანელის მუშაობისა და კვლევის მეთოდოლოგიის შესაფასებლად.

დოქტორანტურის დებულებაში წარმოდგენილი დისერტაციის დაცვის წესები და პროცედურები ღია და გამჭვირვალეა. სადოქტორო ნაშრომის შეფასების პროცედურა ეფუძნება ობიექტურ აკადემიურ კრიტერიუმებს და უზრუნველყოფს ნაშრომის სამართლიან შეფასებას.

მტკიცებულება/ინდიკატორები

ადგილზე ვიზიტი და ინტერვიუები

თვითშეფასების ანგარიში;

დანართი 6.3.1. აკადემიის კვლევითი/შემოქმედებითი საქმიანობის ხარისხის შეფასების მექანიზმი და სისტემა;

დანართი 6.1.1. სამეცნიერო პროექტების ნუსხა

დანართი 6.1.2. სადოქტორო პროექტების სია

დანართი 6.1.3. შემოქმედებითი პროექტების სია

დანართი 6.1.4. პუბლიკაციები, განხორციელებული

დანართი 6.1.5. პუბლიკაციები, დაგეგმილი

დანართი 6.1.6./6.1.7. მეცნიერებათა აკადემიასთან მიმდინარე სამუშაო პროცესის დამადასტურებელი დოკუმენტი

დანართი 6.1.8. აკადემიის მისია, ხედვა

დანართი 6.1.9. თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის სტრატეგია

დანართი 6.1.10. სამეცნიერო/კრეატიული კვლევისა და განვითარების სამსახურის სტრატეგიული გეგმა

დანართი 6.1.11. რესტავრაციის, ხელოვნების ისტორიისა და თეორიის დოქტორანტურის დებულებები

დანართი 6.1.12. მედია ხელოვნებაში დოქტორანტურის დებულება

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია სამეცნიერო-კვლევითი და განვითარების სამსახურის სტრატეგიული განვითარების მიზნები შეესაბამებოდეს აკადემიისა და სამეცნიერო ცენტრების განვითარების სტრატეგიულ გეგმებს და ხედვას; თსსა-მ იზრუნოს სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულების სტრატეგიული განვითარების გეგმების კორელაციაზე და გადაამუშაოს გეგმა (დაამატოს გაზომვადი ინდიკატორები) დაწესებულების სამეცნიერო და სახელოვნებო/შემოქმედებითი საქმიანობის განვითარების მონიტორინგის პროცესის წარმართვის მიზნით.

რჩევები: არ არის მითითებული
საუკეთესო პრაქტიკა (-ები) (ასეთის არსებობის შემთხვევაში): არ ეხება
შეფასება ☐ შეესაბამება მოთხოვნებს ☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ შეესაბამება მოთხოვნებს
6.2. კვლევის მხარდაჭერა და ინტერნაციონალიზაცია ○ უსდ-ს გააჩნია კვლევის, განვითარებისა და შემოქმედებითი საქმიანობის მხარდაჭერის ეფექტური სისტემა. ○ ახალი კადრების მოზიდვა და ჩართვა კვლევით და სახელოვნებო-შემოქმედებით საქმიანობაში. ○ აკადემია მუშაობს კვლევის, განვითარებისა და შემოქმედებითი საქმიანობების ინტერნაციონალიზაციაზე.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი: წარმოდგენილი დოკუმენტებისა და ინტერვიუების საფუძველზე ექსპერტთა ჯგუფი აღნიშნავს, რომ აკადემიას აქვს საჯარო, გამჭვირვალე პროცედურები კვლევისა და შემოქმედებითი საქმიანობის დასაფინანსებლად; თსსა-ს აქვს შიდა დაფინანსების ორი წესი: „სამეცნიერო პროექტების შიდა დაფინანსების წესი“ და „შემოქმედებითი პროექტების შიდა დაფინანსების წესი“. აკადემიაში შემოქმედებითი პროექტების დაფინანსება ეფუძნება შემდეგ პრინციპებს: საჯაროობა, გამჭვირვალობა, სამართლიანობა და თანასწორობა. გარდა ამისა, თსსა-ს შემუშავებული აქვს „თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის დოქტორანტების სამეცნიერო პუბლიკაციების დაფინანსებისა და საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობის წესი“ (დანართი 6.2.3). სამეცნიერო/შემოქმედებითი გრანტების მოსაპოვებლად გამოცხადებულ კონკურსებში მონაწილეობა შესაძლებელია როგორც სამეცნიერო, ასევე აკადემიური პერსონალისათვის, ასევე ბაკალავრიატის, მაგისტრატურის და დოქტორანტურის სტუდენტებისათვის. ამრიგად, ამ მექანიზმებით, თსსა მხარს უჭერს კვლევითი/შემოქმედებითი საქმიანობისათვის ახალი ცოდნის, ხედვის, მიდგომების და პერსპექტივების განვითარებას. დოკუმენტაციის (6.1.1 სამეცნიერო პროექტები და 6.1.2 დოქტორანტების, მაგისტრანტთა პროექტები) განხილვითა და ინტერვიუებით (1.5, 3.2 და 3.6) ექსპერტთა ჯგუფი ადასტურებს, რომ აკადემიის აკადემიურ და სამეცნიერო პერსონალს, ისევე როგორც სტუდენტებს, სხვადასხვა წყაროდან დაფინანსების მოპოვებაში მხარს უჭერს სამეცნიერო/კრეატიული კვლევისა და განვითარების დეპარტამენტი. სამეცნიერო/კრეატიული კვლევისა და განვითარების სამსახურმა შეიმუშავა აკადემიურ პერსონალთან, სამეცნიერო ერთეულებთან და სტუდენტებთან კომუნიკაციის სქემა; ამ სქემის გამოყენებით იგი აგზავნის ინფორმაციას საგრანტო შესაძლებლობებისა და

კონსულტაციისათვის სამეცნიერო/კრეატიული კვლევისა და განვითარების სამსახურის მზადყოფნის შესახებ დაინტერესებულ მხარეებთან. კონსულტაციის პროცესს კოორდინაციას უწევს სამეცნიერო/კრეატიული კვლევისა და განვითარების დეპარტამენტი, რაც ხორციელდება სამეცნიერო, ფინანსური და იურიდიული სამსახურების ხელმძღვანელებთან ერთად. საგრანტო განაცხადის მომზადების, პროექტის მიმდინარეობის და დახურვის ეტაპებზე საჭიროებისამებრ ჩართულია სამივე სამსახური.

ადგილზე ვიზიტმა გამოავლინა, რომ ბოლო ავტორიზაციის შემდეგ, თსსა-მ მიაღწია დიდ პროგრესს თავისი კვლევის, განვითარებისა და შემოქმედებითი მუშაობის ეფექტიანობის გაზრდაში. საგრანტო განაცხადისა და პროექტის მომზადების დროს თსსა მხარს უჭერს ახალგაზრდა მკვლევართა ინიციატივებს დაფინანსებითა და კონსულტაციებით. აკადემიის სამეცნიერო-კვლევით/სახელოვნებო-შემოქმედებით საქმიანობაში ახალი კადრების მოზიდვისა და ჩართვის მცდელობაა ფაკულტეტის სტრატეგიული გეგმით გათვალისწინებული პოსტ-დოქტორანტის პოზიციების დაარსება. თუმცა, სტრატეგიული გეგმა არ ითვალისწინებს ამის ფინანსურ მხარდაჭერას. დაფინანსების გარეშე შეუძლებელია დაგეგმილი ამოცანების მიღწევა.

დაწესებულება მუშაობს საერთაშორისო თანამშრომლობის შემდგომ განვითარებაზე უცხოურ უნივერსიტეტებთან, სამეცნიერო საზოგადოებებთან და კვლევით ინსტიტუტებთან თანამშრომლობის გაძლიერებით. თვითშეფასების ანგარიში და თსსა-ს სტრატეგიული განვითარების გეგმა ადასტურებს დაწესებულების ხედვას ამ კუთხით. ინტერნაციონალიზაცია თსსა-ს ერთ-ერთი სტრატეგიული მიმართულებაა. დოკუმენტი "თსსა-ს სტრატეგია" ასახავს განვითარების სფეროებს: სამეცნიერო/შემოქმედებითი საქმიანობისა და პროგრამების ინტერნაციონალიზაციის პროცესის ხელშეწყობა, საერთაშორისო ინსტიტუტებთან თანამშრომლობის გაძლიერება, ევროკავშირის პროექტებში ჩართვა, შრომის ბაზარზე სტუდენტების კონკურენტუნარიანობის ამაღლების ხელშეწყობა; არსებული პარტნიორული ქსელის გაფართოება: Erasmus+ მობილობისა და ინსტიტუციური განვითარების პროგრამების, ორმხრივი/მრავალმხრივი შეთანხმებების და საერთაშორისო ინსტიტუტებთან თანამშრომლობის პროექტების გაფართოება.

მტკიცებულება/ინდიკატორები

ადგილზე ვიზიტი და ინტერვიუები

თვითშეფასების ანგარიში.

დანართი 6.1.1. სამეცნიერო პროექტების ნუსხა;

დანართი 6.1.2. სადოქტორო პროექტების სია;

დანართი 6.2.3. თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის დოქტორანტთა სამეცნიერო პუბლიკაციებისა და საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობის დაფინანსების წესი;

დანართი 1.2.1 აპოლონ ქუთათაღედის სახელობის თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის სტრატეგია (დამტკიცებული 2024 წლის 29 მარტი);

დანართი 1.2.1. - თსსა-ს სტრატეგიული განვითარების გრძელვადიანი და სამოქმედო (მოკლევადიანი) გეგმა.

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია აკადემიამ გააძლიეროს საერთაშორისო თანამშრომლობა და ჩართულობა თანამედროვე კვლევებში; რეკომენდებულია ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკის გაძლიერება და საერთაშორისო

პარტნიორებთან ერთობლივი კვლევითი და შემოქმედებითი პროექტების/აქტივობების განხორციელება, ასევე საერთაშორისო კვლევით/სახელოვნებო ცენტრებთან ინსტიტუციური თანამშრომლობის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა.
რჩევები: არ არის მითითებული
საუკეთესო პრაქტიკა (-ები) (ასეთის არსებობის შემთხვევაში): არ ეხება
შეფასება ☐ შეესაბამება მოთხოვნებს ☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ შეესაბამება მოთხოვნებს
6.3. კვლევითი საქმიანობის შეფასება უსდ-ს გააჩნია კვლევითი/შემოქმედებითი საქმიანობის ხარისხის, სამეცნიერო-კვლევითი ერთეულებისა და აკადემიური/სამეცნიერო პერსონალის სამეცნიერო პროდუქტიულობის შეფასებისა და ანალიზის სისტემა.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი: როგორც თვითშეფასების ანგარიშშია აღნიშნული, თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიამ 2018 წლიდან შეიმუშავა აკადემიური და სამეცნიერო პერსონალისათვის განკუთვნილი სამეცნიერო და შემოქმედებითი საქმიანობის ხარისხის შეფასების მექანიზმი და სისტემა, რომელიც შედგება როგორც შეფასების კრიტერიუმებისგან, ისე პროცედურული ნაწილის აღწერისა და კითხვარისაგან. აქტივობა ფასდება ქულათა სისტემით. სამეცნიერო/შემოქმედებითი კვლევისა და განვითარების დეპარტამენტი პირველად მხოლოდ 2023 წელს ჩაერთო აკადემიისა და ფაკულტეტების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურებთან ერთად სამეცნიერო/შემოქმედებითი საქმიანობის ხარისხის განსაზღვრის სამუშაო პროცესში. აკადემიის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრებისა და ფაკულტეტების პერსონალის სამეცნიერო/შემოქმედებითი საქმიანობის შესაფასებლად, სამეცნიერო/შემოქმედებითი კვლევისა და განვითარების დეპარტამენტთან კოორდინაციით, შემუშავდა დარგის სპეციფიკაზე მორგებული კითხვარები ფაკულტეტების აკადემიური პერსონალისათვის. თუმცა, წარმოდგენილ დოკუმენტებსა და ინტერვიუებზე დაყრდნობით (შეხვედრები 1.2, 1.5 და 4.2) ექსპერტთა ჯგუფი აღნიშნავს, რომ უსდ არ აფასებს და არ აანალიზებს კვლევითი/შემოქმედებითი ხელოვნების საქმიანობის ხარისხს და სამეცნიერო კვლევითი ერთეულების ეფექტურობას; კვლევისა და განვითარების დეპარტამენტის ანგარიშის დოკუმენტი შეიცავს მხოლოდ საქმიანობის ჩამონათვალს. მას აქვს კომპილაციური ხასიათი, არის ფაკულტეტის საბჭოებიდან და სამეცნიერო კვლევითი ცენტრებიდან მიღებული ინფორმაციის კრებული და არ შეიცავს ანალიტიკურ მიდგომას, შეფასებას ან შეფასების ელემენტებს. აღსანიშნავია, რომ უსდ არ აქვეყნებს ანგარიშებს განხორციელებული კვლევითი საქმიანობის შესახებ; ექსპერტებმა ვერ იპოვეს შესაბამისი ინფორმაცია თსსა-ს ვებგვერდზე.

კვლევისა და განვითარების დეპარტამენტის წლიური ანგარიშის არსებული პრაქტიკა ეფუძნება დოკუმენტს „აკადემიის კვლევითი/შემოქმედებითი საქმიანობის ხარისხის შეფასების მექანიზმი და სისტემა“. დოკუმენტი საჭიროებს თსსა-ს შემოქმედებითი-სამეცნიერო სამუშაოს ეფექტურობის შეფასებისა და გაზომვის მექანიზმებისა და ინსტრუმენტების შემუშავებასა და შექმნას, რომელიც შთამბეჭდავია და აქვს ფართო პროფილი. ამრიგად, უსდ არ აფასებს და აანალიზებს კვლევითი/შემოქმედებითი სახელოვნებო აქტივობების ხარისხს და სამეცნიერო კვლევითი ერთეულების ეფექტურობას. აქედან გამომდინარე, შეფასების შედეგები არ გამოიყენება კვლევითი/შემოქმედებითი აქტივობების განსავითარებლად.
მტკიცებულება/ინდიკატორები თვითშეფასების ანგარიში; ადგილზე ვიზიტი და ინტერვიუები ვებ-საიტი დანართი 6.3.1. აკადემიის კვლევითი/შემოქმედებითი საქმიანობის ხარისხის შეფასების მექანიზმი და სისტემა
რეკომენდაციები: რეკომენდებულია აკადემიამ შექმნას სამეცნიერო/შემოქმედებითი საქმიანობის ეფექტურობის ანალიზისა და გაზომვის სისტემა, რათა შეფასების შედეგები გამოიყენოს კვლევითი/შემოქმედებითი საქმიანობის შემდგომი განვითარებისთვის.
რჩევები: არ არის მითითებული
საუკეთესო პრაქტიკა (-ები) (ასეთის არსებობის შემთხვევაში): არ ეხება
შეფასება ☐ შესაბამება მოთხოვნებს ☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ შესაბამება მოთხოვნებს

7. მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები

უსდ-ის მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს დაწესებულების მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და სტრატეგიული განვითარების გეგმით განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

7.1. მატერიალური რესურსები

- დაწესებულებას გააჩნია ან მის მფლობელობაშია მატერიალური რესურსები (ფიქსირებული და მიმდინარე აქტივები), რომლებიც გამოიყენება დაწესებულების მისიისა და მიზნების მიღწევისთვის, ადეკვატურად პასუხობს საგანმანათლებლო პროგრამებისა და კვლევითი საქმიანობის მოთხოვნებს და შეესაბამება მოქმედი სტუდენტებისა და დაგეგმილი ჩარიცხვების არსებულ რაოდენობას.
- უსდ სტუდენტებს სთავაზობს საგანმანათლებლო საქმიანობის განსახორციელებლად საჭირო გარემოს: სანიტარიული კვანძები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის ცენტრალური სისტემა.
- დაწესებულებაში დაცულია პერსონალისა და სტუდენტთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა.
- დაწესებულებას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საჭიროებების მქონე პირებისთვის.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

აკადემია კანონიერ საკუთრებაში ფლობს შენობებს, სადაც მიმდინარეობს სასწავლო და სამეცნიერო საქმიანობა (დანართი 7.1.1). დაწესებულების არსებული მატერიალური რესურსები, როგორც უძრავი, ისე მოძრავი ქონების ჩათვლით, ემსახურება დაწესებულების საგანმანათლებლო მიზნების განხორციელებას და შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამების არსსა და მოთხოვნებს (თვითშეფასების ანგარიში; დანართი N7.1; ინტერვიუები).

მიუხედავად იმისა, რომ ეს შენობები მეტ-ნაკლებად აღჭურვილია საჭირო საგანმანათლებლო რესურსებითა და ბიბლიოთეკებით, აკადემიისათვის აუცილებელია ფოკუსირება გარემოს გაუმჯობესებაზე. ეს გულისხმობს არა მხოლოდ საგანმანათლებლო ინფრასტრუქტურის განახლებას რამდენიმე შენობაში, არამედ ფუნდამენტური სარემონტო სამუშაოების განხორციელებას უსაფრთხო, კომფორტული და ხელმისაწვდომი სასწავლო გარემოს შესაქმნელად. სიტუაცია განსხვავებულია სხვადასხვა კამპუსში; მაგალითად, გრიბოედოვის #22-ში ინფრასტრუქტურა მნიშვნელოვნად უკეთესია ლაპიაშვილის #1 ხეივანში მდებარე შენობასთან შედარებით, სადაც ინსპექტირებისას დაფიქსირდა რამდენიმე ხარვეზი, დაწყებული გათბობისა და ვენტილაციის საკითხებით და დამთავრებული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და სპეციალური საჭიროების მქონე პირთათვის ადაპტირებული გარემოს შექმნით. ამ უკანასკნელ შენობას აქვს განსაკუთრებით მოძველებული საგანმანათლებლო ინფრასტრუქტურა, რომელიც არ აკმაყოფილებს ინკლუზიური სასწავლო გარემოს მოთხოვნებს. აღსანიშნავია, რომ აკადემიას აქვს ამ კონკრეტული შენობის განახლების საპროექტო გეგმა (დანართი N7.1.11). ბოლო წლებში აკადემიამ გადადგა პოზიტიური ნაბიჯები ინფრასტრუქტურისა და საერთო სასწავლო გარემოს გასაუმჯობესებლად, მათ შორის გრიბოედოვის #22-ში მდებარე შენობების სარეაბილიტაციო სამუშაოები, რამაც მნიშვნელოვნად გააუმჯობესა სასწავლო გარემო (დანართი N7.1.2; დანართი N7.1.10).

აკადემიისთვის ასევე მნიშვნელოვანია სტუდენტური საერთო საცხოვრებლის უზრუნველყოფა. ინტერვიუებმა ცხადყო, რომ სამომავლოდ მცხეთაში მიწის ნაკვეთი შესაძლოა გამოყენებული იქნას ამ მიზნით. თუმცა, ეს იდეა ამჟამად არარეალურია თბილისის შენობებიდან მცხეთამდე მნიშვნელოვანი მანძილის გამო და ტრანსპორტირება, სავარაუდოდ, იქნება მთავარი დაბრკოლება.

აკადემიას გაფორმებული აქვს ხელშეკრულება დაცვის სამსახურთან, რომელიც უზრუნველყოფს საგანმანათლებლო გარემოს უსაფრთხოებას. გარდა ამისა, არსებობს დოკუმენტაცია სათვალთვალო კამერების ფლობის შესახებ (დანართი N7.1.4; დანართი N7.1.5).

2024 წლის 1 მარტიდან აკადემიაში დასაქმებულია შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი. აღსანიშნავია, რომ გრიბოედოვის #22-ში მდებარე შენობაში არსებული სამედიცინო პუნქტი სრულად არის აღჭურვილი და დაკომპლექტებულია მაღალკვალიფიციური სპეციალისტით, რომელიც უზრუნველყოფს საჭირო სამედიცინო დახმარებას (დანართი N7.1.7). თუმცა სხვა შენობებში სამედიცინო პუნქტების არსებობა არ დასტურდება.

შემოწმების დროს დადგინდა, რომ გათბობისა და ვენტილაციის სისტემები არა აქვს ყველა შენობას და არ არსებობს მათი გამართული ფუნქციონირების დამადასტურებელი დოკუმენტაცია. მიუხედავად ამისა, აკადემიაში ამ კუთხით ხელშეკრულებით დასაქმებულია სპეციალისტი (დანართი N7.1.3).

საქართველოში ავტორიზაციის სტანდარტების მიხედვით, სავალდებულოა შენობების უსაფრთხოების სერტიფიკატების არსებობა, მათ შორის, ხანძარსაწინააღმდეგო. აკადემიას არ გააჩნია ეს სერტიფიკატები და აშკარაა, რომ სახანძრო უსაფრთხოების პირობები არ არის სათანადოდ დაცული. უფრო მეტიც, შენობების ყველა სართულზე არ არის დამონტაჟებული ხანძარსაწინააღმდეგო აღჭურვილობა დეტალური გამოყენების ინსტრუქციით.

საგანმანათლებლო მასალების მნიშვნელოვან ნაწილს სტუდენტები ყიდულობენ დამოუკიდებლად, რაც მათ დაასახელებს პრობლემად ამ მასალების მაღალი ღირებულების გამო; ეს კი ართულებს ფინანსური საჭიროებების წინასწარ პროგნოზირებას. ექსპერტთა ჯგუფს ეცნობა (შეხვედრები 2.4, 2.5 და 3.3), რომ სტუდენტებმა ნაწილობრივ იციან სწავლის დროს გარკვეული მასალების შეძენის აუცილებლობის შესახებ, მაგრამ სასარგებლო იქნება დაწესებულებისათვის სტუდენტებს მიაწოდოს მკაფიო და დაგეგმილი ინფორმაცია სწავლის დასაწყისში.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ყველა შენობა არ არის სრულად ადაპტირებული ინკლუზიური სასწავლო გარემოს უზრუნველსაყოფად. სამომავლო განვითარების გეგმები უნდა განისაზღვროს იმ ფაქტორების ანალიზითა და გათვალისწინებით, რომლებიც უზრუნველყოფენ ინკლუზიური გარემოს მიღწევას.

ზემოაღნიშნულის გარდა, ჯგუფი წარმოგიდგენთ რამდენიმე კონკრეტულ შედეგს, რომელიც გამოვლინდა კამპუსის ინსპექტირების დროს:

- **საგანმანათლებლო მასალები**, როგორიცაა თაბაშირი, თიხა და მინანქარი ინახება ერთი და იგივე ოთახში, ხშირად გამოყენების მკაფიო ინსტრუქციის გარეშე.

გრიბოედოვის ქუჩა:

- მე-5 სართულის ქვემოთ სართულები საჭიროებს რემონტს.
- არ არის პანდუსები წინა და უკანა შესასვლელებთან.
- მთელი შენობა მიუწვდომელია ეტლით მოსარგებლებებისათვის (მაგ., ფერწერის და კომპიუტერული აუდიტორიები ბოლო სართულზე).
- არ არის კომპიუტერის ოთახი ინდივიდუალური სამუშაოსათვის.
- სტუდენტებისთვის კარადები არ არის გათვალისწინებული.

• სტუდენტების მოთხოვნიდან გამომდინარე, რეკომენდებულია ხმის სისტემის გაუმჯობესება კინოს კურსზე (მედია ხელოვნება). ისტორიული შენობა: • არ არის ევაკუაციის გეგმები. • არ არის გასასვლელის ნიშნები. • არ არის სათვალთვალო კამერები. • სპორტული დარბაზი შეიცვალა აუდიტორიით ქანდაკებისთვის (არ არის სპორტული აქტივობები). ეზო: • სკამები არასაკმარისია. ლაპიაშვილის ქუჩა: • კამპუსს ამჟამად ბევრი პრობლემა აქვს, როგორც ანგარიშშია აღნიშნული, თუმცა სარემონტო სამუშაოებზე ტენდერი გამოცხადდა, რომელიც მოიცავს უნივერსალურ დიზაინს. აღმაშენებლის ქუჩა (საგამოფენო სივრცე): • ჯერ არ არის მოწყობილი. • ის უნდა იყოს ადაპტირებული ისე, რომ ყველამ შეძლოს მეორე სართულზე ასვლა. ლუბლიანას ქუჩა: • არ არის ევაკუაციის გეგმები. • არ არის გასასვლელის ნიშნები. • არ არის სათვალთვალო კამერები. • არ არის პანდუსები წინა და უკანა შესასვლელებთან. • არ არის პანდუსები ან ლიფტები სართულებს შორის.	მტკიცებულება/ინდიკატორები • თვითშეფასების ანგარიში; • ადგილზე ვიზიტი და ინტერვიუები • ტურები • დანართები – 7.1 (7.1.1 – 7.1.14)
რეკომენდაციები: • რეკომენდებულია აკადემიამ შექმნას ინკლუზიური და ხელმისაწვდომი გარემო ყველა კამპუსში და შეიმუშაოს კონკრეტული, რეალისტური გეგმა ამ მიზნის მისაღწევად. • რეკომენდებულია საგანმანათლებლო ინფრასტრუქტურის განახლება, განსაკუთრებით იმ კამპუსებში, სადაც ინფრასტრუქტურა მნიშვნელოვნად მოძველებულია და არ შეესაბამება სტანდარტებს (მაგალითად, კამპუსები ლაპიაშვილისა და ლუბლიანას ქუჩებზე). • რეკომენდებულია აკადემიამ განახორციელოს შენობების სტრუქტურული მთლიანობისა და სახანძრო უსაფრთხოების შემოწმებები (კვალიფიციური სუბიექტების მიერ) და შემდგომ შეიმუშაოს აუცილებელი მაკორექტირებელი ღონისძიებების გეგმა. • რეკომენდებულია შემუშავდეს სასწავლო მასალების შენახვისა და გამოყენების სახელმძღვანელო პრინციპები და განთავსდეს ყველასთვის ხელმისაწვდომ ადგილებში. • რეკომენდებულია აკადემიამ ყველა კამპუსში დაამონტაჟოს სათვალთვალო კამერების ადეკვატური რაოდენობა.	

- რეკომენდებულია ყველა კამპუსი აღიჭურვოს სამედიცინო პუნქტებით ან ასეთი საშუალებები უზრუნველყოფილ იქნას კამპუსებს შორის საერთო სივრცეებში.
რჩევები: - სასურველია აკადემიამ მოაწყოს სტუდენტური საერთო საცხოვრებლები. - სასურველია აკადემიამ ჩარიცხვის პროცესისას ჩაატაროს კონკრეტული და მიზნობრივი შეხვედრები, რათა აცნობოს სტუდენტებს საჭირო მასალების შეძენის მოთხოვნის შესახებ.
საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში): არ ეხება
შეფასება მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☐ შეესაბამება მოთხოვნებს ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☒ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ შეესაბამება მოთხოვნებს.
7.2. ბიბლიოთეკის რესურსები
ბიბლიოთეკის გარემო, რესურსები და მომსახურება ხელს უწყობს სასწავლო და კვლევითი საქმიანობის ეფექტურ განხორციელებას და უსდ მუდმივად ზრუნავს მის განვითარებაზე.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი: როგორც თვითშეფასების ანგარიშშია მოცემული და ადგილზე ვიზიტისას დადასტურდა, აკადემიის ბიბლიოთეკა აკადემიის დაარსებიდან განთავსებულია გრიბოედოვის #22-ში მდებარე ისტორიულ შენობაში. ამ შენობის ვრცელი რესტავრაციისა და რეაბილიტაციის პროექტის ფარგლებში, ბიბლიოთეკა დროებით გადაიტანეს ზუბალაშვილის ქუჩაზე მდებარე აკადემიის შენობაში. რეაბილიტაციის პროექტი გაჭიანურდა პანდემიის გამო, რასაც დაემატა ძმები ზუბალაშვილების 25-ში მდებარე აკადემიური შენობის სარემონტო სამუშაოების ინიცირება. შესაბამისად, ვინაიდან ათსართულიანი შენობის სხვადასხვა სართული მოითხოვდა თანმიმდევრულ რემონტს, საჭირო გახდა ფაკულტეტების გადატანა ისტორიულ შენობაში, ხოლო სასწავლო აუდიტორიებმა დროებით დაიკავეს ბიბლიოთეკისათვის გამოყოფილი სივრცეები. ამის გამო, ბიბლიოთეკას გაცილებით მცირე სივრცეში უწევდა ფუნქციონირება ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში, რაც პრაქტიკულად შეუძლებელს ხდიდა თანამშრომლებისა და სტუდენტებისთვის სამკითხველო ოთახების გამოყოფას. სამწუხაროდ, ეს მდგომარეობა რჩება უცვლელი. უმნიშვნელოვანესია ბიბლიოთეკის სივრცის გაუმჯობესება და გაფართოება და დამატებითი კომპიუტერული აღჭურვილობის უზრუნველყოფა, რაც დასტურდება ინტერვიუს შედეგებით (თვითშეფასების ანგარიში, გვ. 75). გარდა ამისა, აკადემია გეგმავს ბიბლიოთეკის ეტაპობრივად დაბრუნებას ტრადიციულ ადგილას. თუმცა, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ბიბლიოთეკისათვის გამოყოფილი

სივრცეები (შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობით) კონკრეტული დისციპლინებისათვის მწირია სხვადასხვა შენობაში (დანართი 7.2.4). მხოლოდ ცენტრალურ ბიბლიოთეკაზე დაყრდნობა შეიძლება ადეკვატურად ვერ აკმაყოფილებდეს საჭირო მოთხოვნებს.

აკადემიას დადგენილი აქვს ბიბლიოთეკით სარგებლობის წესები და ინსტრუქციები (დანართი N7.2.1). ბიბლიოთეკა მუდმივად ანახლებს წიგნების კოლექციას. ბიბლიოთეკის დაფინანსების სქემა 2023 წლისთვის აჩვენებს მზარდ ტენდენციას (დანართი N7.2.6), რომლის შენარჩუნებაც აუცილებელია, იმის გათვალისწინებით, რომ მისი სპეციფიკური ფოკუსის გამო აკადემიას სჭირდება უაღრესად ძვირადღირებული ლიტერატურა.

ელექტრონული ბიბლიოთეკის მონაცემთა ბაზების გამოყენების სტატისტიკა აღირიცხება ყოველწლიურად. 2024 წლის 25 მარტის მდგომარეობით, ეს მაჩვენებელი შეადგენს 1291-ს (თვითშეფასების ანგარიში, გვ. 80). თვითშეფასების ანგარიში ასევე შეიცავს ინფორმაციას საერთაშორისო სამეცნიერო ბიბლიოთეკის მონაცემთა ბაზების გამოყენების შესახებ (თვითშეფასების ანგარიში, გვ.11). ორივე შემთხვევაში გამოყენების მაჩვენებელი არ არის განსაკუთრებით მაღალი და აკადემიამ უნდა გააგრძელოს ელექტრონული ბიბლიოთეკის რესურსების გამოყენების წახალისება.

აკადემიას აქვს ელექტრონული კატალოგი, რომელიც ხელმისაწვდომია მის ვებგვერდზე. საბიბლიოთეკო რესურსები მოიცავს ძირითად ლიტერატურას, მაგრამ აღსანიშნავია, რომ სილაბუსებში ხშირად არის ჩამოთვლილი ლიტერატურა სხვადასხვა ენაზე, მათ შორის ისეთი, რომელიც არ არის მითითებული სტუდენტთა დაშვების წინაპირობებში (იხილეთ ეს ანგარიში 3.2).

ინტერვიუებმა ცხადყო, რომ ბიბლიოთეკის თანამშრომლები პერიოდულად მართავენ შეხვედრებს ბიბლიოთეკასთან დაკავშირებულ საკითხებზე როგორც სტუდენტებთან, ასევე პროფესორებთან. თუმცა, ზოგიერთ შემთხვევაში, არსებობს დაინტერესების ნაკლებობა.

მტკიცებულება/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში;
- ადგილზე ვიზიტი და ინტერვიუები
- ტურები
- დანართები – 7.2.1 - 7.2.6

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია აკადემიის ბიბლიოთეკა განთავსდეს შესაბამის ტერიტორიაზე მისი ეფექტური გამოყენების უზრუნველსაყოფად აღჭურვილ იქნას საჭირო მატერიალურ-ტექნიკური რესურსებით.
- რეკომენდებულია ბიბლიოთეკები განთავსდეს ცალკეულ კამპუსებში კომპიუტერული სივრცეების ჩათვლით, და/ან საერთო სივრცის შენობებში.
-

რჩევები:

- აკადემიამ სასურველია გააგრძელოს საბიბლიოთეკო მომსახურების დაფინანსების გაზრდა.
- სასურველია, ბიბლიოთეკამ ჩაატაროს მეტი საინფორმაციო შეხვედრა პერსონალთან და სტუდენტებთან.

• სასურველია, აკადემიამ წახალისოს სამეცნიერო ბაზებისა და ელექტრონული კატალოგების უფრო ფართო გამოყენება სამეცნიერო და საგანმანათლებლო საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად. •
საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში): არ ეხება
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ შესაბამეობა მოთხოვნებს.
7.3 საინფორმაციო რესურსი
○ უსდ - ში შექმნილია ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა და უზრუნველყოფილია მისი ადმინისტრირება და ხელმისაწვდომობა. ○ ელექტრონული სერვისები და მართვის ელექტრონული სისტემები დანერგილია და არსებობს მათი მუდმივი განვითარების ხელშეწყობი მექანიზმები. ○ უსდ უზრუნველყოფს ბიზნესუწყვეტობას. ○ უსდ-ს აქვს ფუნქციონალური ვებგვერდი ქართულ და ინგლისურ ენებზე.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი: აკადემიის ოფიციალური ვებგვერდი ასრულებს როგორც საკომუნიკაციო, ისე საინფორმაციო ფუნქციებს, უზრუნველყოფს საჭირო საკონტაქტო ინფორმაციას და სხვა არსებით ინფორმაციას როგორც ქართულ, ასევე ინგლისურ ენებზე. ეს მოიცავს მისიას, აქტივობებს და სტრუქტურას. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ არის რამდენიმე შემთხვევა, როდესაც ქართული და ინგლისური ვერსიები არ ემთხვევა ერთმანეთს (მაგ. ინფორმაცია ბიუჯეტზე). აკადემიის ვებგვერდზე განთავსებულია საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი, სადაც დეტალურად არის აღწერილი პროგრამები, სტუდენტების შერჩევის კრიტერიუმები და ა.შ. ანგარიშები ქვეყნდება ვებგვერდზე, მაგრამ ისინი არასრულია და ზოგჯერ მოძველებულია (მაგ. სტატისტიკის განყოფილება, ფინანსური ანგარიშები და ა.შ.), ან შესაბამისი ვებგვერდები საერთოდ არ იხსნება. მარეგულირებელი დოკუმენტები და სტრატეგიული განვითარების გეგმა ხელმისაწვდომია, მაგრამ ინფორმაცია ფინანსური ანგარიშების და სტატისტიკის თაობაზე ანგარიშების სექციებში არ არის განახლებული. აკადემიაში დანერგილია ელექტრონული სერვისები და მართვის სისტემები, რომლებიც უზრუნველყოფს მომსახურების და ადმინისტრირების ეფექტიანობას (დანართი 7.3.4). თუმცა, ინტერვიუების დროს, სტუდენტების მხოლოდ ძალიან მცირე რაოდენობამ შეძლო მათი გამოყენების დემონსტრირება (პერსონალური საიდენტიფიკაციო ინფორმაციის გამჟღავნების გარეშე).

აკადემიამ შემუშავებული აქვს ბიზნესის უწყვეტობის გეგმა და შეძენილი აქვს საჭირო ჰოსტინგი და დომენი (დანართი 7.3.8 და დანართი 7.3.9). მიუხედავად ამისა, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ინტერნეტის სარგებლობა სტუდენტებისა და პერსონალისთვის არ არის სრულად უზრუნველყოფილი ყველა შენობაში.
მტკიცებულება/ინდიკატორები თვითშეფასების ანგარიში; ადგილზე ვიზიტი და ინტერვიუები დანართები – 7.3.1 - 7.3.9
რეკომენდაციები: - რეკომენდებულია, რომ აკადემიის ვებგვერდის ქართული და ინგლისური ვერსიები სრულად შეესაბამებოდეს ერთმანეთს. - რეკომენდებულია, რომ ყველა ანგარიში და სტატისტიკური მონაცემი გამოქვეყნდეს დროულად და განახლდეს შესაბამის ვადებში.
რჩევები: - მიზანშეწონილია აკადემიამ მისი ელექტრონული სერვისების მომხმარებლებისათვის გააუმჯობესოს საინფორმაციო პოლიტიკა და გაიდლაინები. - მიზანშეწონილია აკადემიამ შეიმუშაოს აუცილებელი გეგმა, რათა უზრუნველყოს პერსონალი და სტუდენტები თანმიმდევრული ინტერნეტით ყველა შენობაში.
საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში): არ ეხება
შეფასება ☐ შეესაბამება მოთხოვნებს ☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ შეესაბამება მოთხოვნებს.
7.4 ფინანსური რესურსი
- უსდ-ის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია. - უსდ - ის ფინანსური მდგომარეობა უზრუნველყოფს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმებში გაწერილი აქტივობების შესრულებას. - უსდ - ის ფინანსური რესურსები ორიენტირებულია დაწესებულების ძირითადი საქმიანობის ეფექტურ განხორციელებაზე. - უსდ - ის ბიუჯეტში გათვალისწინებულია სამეცნიერო კვლევებისა და ბიბლიოთეკის ფუნქციონირება-განვითარების დაფინანსება. - უსდ - ში არსებობს ანგარიშვალდებულების, ფინანსური მართვისა და კონტროლის ეფექტური სისტემა.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი: ბიუჯეტი მოიცავს საბიუჯეტო ასიგნებებს (4,945,000 ლარი) და საკუთარ შემოსავლებს (3,500,000 ლარი), ჯამში შეადგენს 8,445,000 ლარს (იხ. დანართი 7.4.2). ცხადია, არსებული ფინანსური რესურსები სრულად არ პასუხობს საჭირო მოთხოვნებს. მიუხედავად იმისა, რომ აკადემიას აქვს დივერსიფიცირებული დაფინანსების წყაროები, ისინი არასაკმარისია.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ აკადემიას აქვს თავისი საქმიანობის კომერციალიზაციისა და დამატებითი შემოსავლების მიღების მნიშვნელოვანი პოტენციალი. საანგარიშო პერიოდში აკადემიამ მნიშვნელოვანი პროგრესი განიცადა კომერციალიზაციის მცდელობებში. თუმცა, ჯერ კიდევ არსებობს ბევრი ღია სფერო, სადაც აკადემიას შეუძლია გააძლიეროს კომერციალიზაციის მხარდაჭერა და გამოიყენოს თავისი მნიშვნელოვანი რესურსები.

ყოველი მომდევნო წლის ბიუჯეტის დაგეგმვა გულისხმობს დაინტერესებული მხარეების მონაწილეობას და შესაბამისი ერთეულების მოთხოვნების განხილვას. თუმცა, საბოლოო ბიუჯეტი ნათლად არ ასახავს ამ ჩართულობას. კერძოდ, ბიუჯეტი მოიცავს ძალიან ფართო კომპონენტებს, რაც არაეფექტურია რამდენიმე თვალსაზრისით:

გამჭირვალობის ნაკლებობა: ბიუჯეტის ფართო კატეგორიზაცია ართულებს იმას, რომ დაინტერესებულმა მხარეებმა მკაფიოდ და ზუსტად განსაზღვრონ, რომელ კონკრეტულ სფეროებსა და აქტივობებს უჭერს მხარს და აფინანსებს აკადემია.

ფინანსური უფლებამოსილების დელეგირება: ვინაიდან წარმომადგენლობით საბჭოს აქვს ბიუჯეტის დამტკიცების უფლებამოსილება, მას უნდა ჰქონდეს ყველა საჭირო ბერკეტი ბიუჯეტის დამტკიცების ეტაპზე თავისი კომპეტენციის სრულად გამოსახატავად. როდესაც ბიუჯეტი ძალიან დიდი კომპონენტებით არის დაგეგმილი, ამ კომპონენტების ფარგლებში ფინანსური რესურსების განაწილების უფლებამოსილება გადადის აკადემიის ადმინისტრაციაზე. მიუხედავად იმისა, რომ ადმინისტრაციას აქვს საკუთარი კომპეტენციები, ამ მიდგომას გარკვეულწილად გადააქვს აკადემიის ფინანსური და საბიუჯეტო პოლიტიკის განსაზღვრის უფლებამოსილება წარმომადგენლობითი საბჭოდან ადმინისტრაციაზე, რაც, სავარაუდოდ, საბჭოს კომპეტენციაში შედის.

გარდა ამისა, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ აკადემიის ბიუჯეტი დამოუკიდებლად არ ითვალისწინებს ისეთი სფეროების დაფინანსებას, როგორიცაა სტუდენტური პროექტები/თვითმმართველობა, კვლევითი აქტივობები და ინტერნაციონალიზაციის მხარდამჭერი კომპონენტები, რაც აკადემიის სტრატეგიის განუყოფელი ნაწილია.

აკადემია პერიოდულად ამზადებს ანგარიშებს ბიუჯეტის შესახებ. თუმცა, ეს ინფორმაცია რთულად ხელმისაწვდომია გარე დაინტერესებული მხარეებისათვის და საბიუჯეტო და ფინანსურ საკითხებთან დაკავშირებით საერთო გამჭვირვალობა არასაკმარისია. ვებგვერდზე ინფორმაციის მოძიება რთულია, რადგან ზოგიერთი დეტალი მიუწვდომელია და არის ტექნიკური შეცდომები საიტზე ცვლილებების გამო.

აკადემიის სტრატეგია და სამოქმედო გეგმა მოიცავს მხოლოდ დაფინანსების წყაროების იდენტიფიცირებას (როგორიცაა საბიუჯეტო ასიგნებები, საკუთარი შემოსავლები, საერთაშორისო ფონდები და ა.შ.), რაც აშკარად არასაკმარისია სტრატეგიული და ოპერატიული გეგმების ფინანსური პერსპექტივის შესაფასებლად.

აკადემიას გააჩნია საჭირო ელექტრონული რესურსები ბიუჯეტის კონტროლისა და აღრიცხვისათვის.

მტკიცებულება/ინდიკატორები

ადგილზე ვიზიტი და ინტერვიუები

თვითშეფასების ანგარიში. დანართი 7.4.1 - 7.4.5
რეკომენდაციები: • გამჭვირვალობის გაძლიერების მიზნით და კომპეტენციების განაწილების პრინციპის დასაცავად, რეკომენდებულია ბიუჯეტში მკაფიოდ იყოს მითითებული სხვადასხვა საქმიანობისთვის გამოყოფილი ხარჯების ოდენობები. ამასთან, მასში დეტალურად იყოს გაწერილი სტუდენტთა მხარდაჭერის აქტივობებისთვის, სამეცნიერო განვითარების ხელშეწყობისთვის და საბიბლიოთეკო რესურსების გაუმჯობესებისთვის გამოყოფილი თანხები. რეკომენდებულია აკადემიის სტრატეგიული გეგმების მისაღწევად საჭირო ხარჯვითი მოთხოვნების დადგენა, და არა მხოლოდ დაფინანსების წყაროების იდენტიფიცირება. ამასთან, უზრუნველყავით, რომ ეს ხარჯები დაკავშირებული იყოს ბიუჯეტში გაზომვად ინდიკატორებთან მათი ეფექტურობის . •
რჩევები: • სასურველია, ბიუჯეტთან დაკავშირებული ინფორმაციის გამჭვირვალობის გაზრდა იმის უზრუნველყოფით, რომ იგი ხელმისაწვდომი იყოს ყველა დაინტერესებული მხარისთვის მისაწვდომ პლატფორმებზე. •
საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში): არ ეხება
შეფასება ☐ შეესაბამება მოთხოვნებს ☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ შეესაბამება მოთხოვნებს.